ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ნიკა ნემსიწვერიძე

ასეანის ქვეყნების ჩართულობის პრობლემები რეგიონულ და გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში / გეოეკონომიკური ანალიზი /

სამაგისტრო პროგრამა- საზოგადოებრივი გეოგრაფია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი
გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: გიორგი კვინიკაძე, გეოგრაფიის
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი © 2018

ანოტაცია

დღევანდელ მსოფლიოში რეგიონული ეკონომიკური ბლოკების ჩამოყალიბება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან ეკონომიკური ძლიერება ხდება ქვეყნის სიძლიერის განსაზღვრის მთვარი ფაქტორი. წარმოდგენილი ნაშრომი ეხება იმას, თუ როგორ როგორ ჩამოაყალიბეს სამხრეთ - აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოებმა საკუთარი რეგიონულ ეკონომიკური კავშირი ასეანი, რას წარმოადგენს ის, რა იყო მისი შექმნის მთავარი მიზანი და როგორ მოქმედებს ორგანიზაცია მსოფლიოს ეკონომიკურ არენაზე.

ნაშრომის შესასრულებლად, მომიწია სიღრმისეულად გავცნობოდი თვითონ ორგანიზაციის ეკონომიკურ სტრუქტურას მის როლს და ადგილს თანამედროვე გეოეკონომიკურ არქიტექტურაში. ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებს რეგიონის შესახებ, რომლთა ანალიზმა შესაძლებლობას მომცა გავცნობოდი საკვლევი რეგიონის გეოეკონომიკურ სტრატეგიას და რაც ყველაზე მთავარია შემესწავლა რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობა ჩვენი ქვეყნისათვის.

საკვანძო სიტყვები: ასეანი, საქართველო, გეოეკონომიკა, სტრატეგია, ეკონომიკური ბლოკი.

Annotation

The formation of regional economic blocs in modern world has particular importance, as economic power is the main factor in determining the strength of the country. The present work refers to the South-East Asian countries and how they established their own regional economic union ASEAN, what is the main goal of its creation and how the organization operates on the world's economic arena.

In order to accomplish the work, I had to get acquainted with the economic structure of the organization, its role and place in modern geoeconomic architecture. I also analyzed various reports of international organizations about the region that enabled me to get acquainted with the geo-economic strategy of the research region and the most importantly, this work enabled me to study the region's economic potential for our country.

Keywords: ASEAN, Georgia, geo-economy, strategy, economic block.

სარჩევი

შესავალი 4

I ასეანი: არსი მიზნები და ამოცანები 7

1.1 თანამედროვე ასეანი გეოეკონომიკის რაკუსში 7

1.2 ასეანის საერთაშორისო ხელშეკრულებები. 16

1.3 ასეანის როლი მსოფლიო ეკონომიკაში 18

II. ასეანის და მისი წევრი ქვეყნების გეოეკონომიკური სტრატეგიები 22

2.1 ასეანის გეოეკონომიკური სტრატეგია 22

2.2 ასეანის წევრი ქვეყნების გეოეკონომიკური სტრატეგიები 25

2.3 ასეანის წევრი ქვეყნების საერთაშორისო ეკონომიკაში ჩართულობის პრობლემა 39

2.4 კვლევა - ასეანის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრების დამოკიდებულება ასეანის მიმართ 41

III. ასეანი და საქართველო 45

3.1 საქართველოს და ასეანის ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობები . 45

3.2 კვლევა - საქართველოს ურთიერთობა ასეანთან და მის წევრ ქვეყნებთან - საქარტველოს საგარეო საქმენთა სამინისტროს აზია - წყნარი ოკეანეთის დეპარტამენტი 46

დასკვნა 48

ბიბლიოგრაფია 50

დანართები. 53

შესავალი

კაცობრიობამ განვლო ეკონომიკური ფორმაციის რამოდენიმე ეტაპი, ბოლოს ყველაზე დიდი ცვლილება მსოფლიო ეკონომიკურ არქიტექტურაში, იყო როდესაც საბჭოთა კავშირი ჩამოიშალა, საბჭოთა კავშირისა და დასავლეთის დაპირისპირება იყო იდეოლოგიური ბრძოლა მსოფლიოზე გაბატონებისათვის. XX საუკუნიში გაჩნდა გეოპოლიტიკური თეორიები რომელიც დამყარებული იყო სამხედრო ძალით მოწინააღმდეგის განადგურებაზე. „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში გამოიკვეთა ტენდენცია, როცა სახელმწიფოები ეკონომიკური უპირატესობის მოპოვებას უფრო ცდილობენ და ეკონომიკურ წარმატებაზე კიდევ უფრო მეტად ზრუნავენ, რისთვისაც აყალიბებენ სტრატეგიებს და ქმნიან სხვადასხვა კავშირებს. ამასთან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მთელი მსოფლიო მოიცვა განწყობამ იმის შესახებ, რომ დედამიწაზე დასავლური ტიპის ლიბერალური კაპიტალიზმი გაბატონდებოდა მსოფლიო შევიდოდა განვითარების ისეთ ეპოქაში, სადაც მას ვერაფერი დააბრკოლებდა. თუმცა ეს ასე არ მოხდა და ჯერ კიდევ მრავლად არის პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის სახელმწიფოთა ეკონომიკურ განვითარებას. ლიბერალური ეკონომიკის უპირეტასება მართლაც ფაქტია და დღეისათვის მსოფლიოში მხოლოდ კუბა და ჩრდილოეთ კორეა თუ არ აღიარებენ მას, მაგრამ ეკონომიკის მოწყობის ეს დასავლური მოდელი ფაქტია, რომ დანარჩენ მსოფლიოში ერთნაირად არ მუშაობს, მათი გეოგრაფიული თუ კულტურული განსხვავებულობის გამო. თუმცა, ყველა ცდილობს თავისი ეკონომიკური მოდელი დაუახლოვოს მას. ამ მხრივ, მეტად საინტერესო რეგიონია, რომელიც ასეანი ფარავს მსოფლიოს საკმაოდ მნიშვნელოვან არეალს, ხოლო არსებული ეკონომიკური განვითარების ტემპებით ის სწრაფად ზრდის თავის წილს მსოფლიო ეკონომიკაშიც.

თემის აქტუალობა. დღევანდელ გლობალიზაციის პროცესში, ქვეყნები ცდილოებენ არ ჩამორჩენ ამ დინებას და ერთვებიან სხვადასხვა პროექტებში, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მათ ადაპტაციას მიმდინარე პროცესებთან. ამ პროცესების და იმ გზების შესწავლა, რომელსაც ეს სახელმწიფოები იყენებენ ადაპტაციისათვის თანამედროვე სწრაფად განვითარებად ეკონომიკასთან ჩემი აზრით მნიშვნელოვანია,

ვინაიდან ეს პროცესები და სახელმწიფოთა შორის არსებული ეს ურთიერთოებები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მსოფლიოს მომავალ განვითარებას.

კვლევის ობიექტი: სამხრეთ - აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია (შემდგომში მოვიხსენიებ, როგორც ასეანს)

მიზანი და ამოცანები. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, ასეანის როგორც ერთიანი ეკონომიკური მოთამაშის ეკონომიკური სტრუქტურისა და საგარეო ურთირთობების შესწავლა და მათი გამოყენების შესაძლებლობები საქართველოსათვის. მიზნის მისაღწევად საჭიროდ მივიჩნიე შემდეგი ამოცანების გადაჭრა: კერძოდ, შესწავლილია ასენის სპეციფიკა და როლი რეგიონულ და გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში, შემდგომ გამოკვლეულია ასეანის და მისი წევრი ქვეყნების გეოეკონომიკური სტრატეგიები და ბოლოს შესწავლილია ასეანი და საქართველო არსებული ეკონიომიკური კავშირების გეოგრაფია.

მეთოდოლოგია და მეთოდები. დასახული მიზნების მისაღწევად, მომიწია მეკვლია მეორეული მასალები. სტატისტკური მასალა, რომელიც დგება და გამოიცემა ასეანის სამდივნოს მიერ, რომელიც მოიცავს მთლიანად ორგანიზაციის და ცალკეული წევრი ქვეყნების ეკონომიკური პარამატრების აღწერას. ნაშრომის ძირითადი ნაწილი დაფუძნებულია კონტენტ ანალიზის მეთოდზე ასევე ნაშრომის შესრულების დროს ჩავატარე ერთი კვლევა ასეანის ახალგზარდული ორგანიზაციის წევრებს შორის, იმის შესახებ თუ როგორ აფასებდნენ ახალგაზრდები ორგანიზაციის არსებული მიღწევებს და მომავალს. რაც რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის ნაზავს წარმოადგენს. ასევე სიღრმისეული ინტერვიუ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინიტროში - აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების დეპარტამენტში. კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდები: დოკუმენტების ანალიზი, თვისებრივი კვლევა, რაოდენობრივი კვლევა, კარტოგრაფირება. ინფორმაციის წყაროები და დოკუმენტების ანალიზი: დოკუმენტების შეგროვებისთვის გამოყენებულ იქნა: ინტერნეტ ძებნა და ხელით ძებნა

ინტერნეტ ძებნისას გამოიყენებულ იქნა როგორც პოპულარული საძიებო სისტემები (http://www.google.com; http://www.msn.com; http://www.search.aol.com და სხვ.), ასევე ელექტრონული სამეცნიერო ბაზები (Elsevier SCOPUS, Elsevier Science Direct,

JSTOR, EBSCO Host). მონაცემების შესაგროვებლად გამოყენებული იქნა "სიტყვა–გასაღების'" სხვადასხვაგვარი კომბინაციები. ხელით ძებნა განხორციელდა ბიბლიოთეკებსა და არქივებში საჭირო ინფორმაცია გამოთხოვილი იქნა "საქსტატიდან"და სხვა შესაბამისი სფეროს სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციიდან. კვლევის პროცესში შეგროვდა, როგორც პირველადი, ისე მეორადი ინფორმაცია.

კვლევის მეცნიერული სიახლე. მსგავსი ტიპის კვლევა საქართველოში ჯერ არ განხორციელებულა, მეორე მხრივ, ასენის როგორც პერსპექტიული ეკონომიკური რეგიონის პოტენციალი საქართველოში ჯერჯერობით ნაკლებადაა შესწავლილი.

პრაქტიკული მნიშვნელობა - ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა არის, ის რომ ქართველ მკითხველს აძლევს ასეანის ქვეყნებისა და თვითონ ორგანიზაციის გეოკონომიკური სტრატეგიისა და ეკონომოკური პარამატრების შესახებ ინფორმაციას და მის ანალიზს, ასევე საქართველოს და ასეანის წევრი ქვეყნების შესახებ ინფორმაციას. რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის შესწავლა და მისი გამოყენება საქართველოს ეკონომიკის დივერსიფიკაციისათვის ერთობ საშურ საქმედ მიმაჩნია. გარდა აღნიშნულისა, კვლევა შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ ადამიანების მიერ ვინც აწარმოებენ აღნიშნული რეგიონის შესწავლას. იმ ქართველი ბიზმესმენებისათვის ვისაც გადაწყვეტილი აქვს ან/და მომავალში გადაწყვეტს ასენის წევრ ქვეყნებთან ბიზნეს ურთიერთობს.

ნაშრომის სუსტი მხარეა, ის, რომ ანალიზი გაკეთებულია, მხოლოდ უახლეს მონაცმებზე დაყრდნობით, იმ მიზნით, რომ გაზრდილიყო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა და დაინტერესებულ პირებს, მიეღოთ ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაცია, რეგიონშ დღეს არსებული მდგომარეობის შესახებ.

I ასეანი: არსი მიზნები და ამოცანები

1.1 თანამედროვე ასეანი გეოეკონომიკის რაკუსში

ასეანის დაარსება - მოკლე ისტორია. 1967 წლის 8 აგვისტოს ქალაქ ბანგკოკში გამართულ კონფერენციაზე ოფიციალურად გაცხადდა ასეანის დაარსების შესახებ. დამფუძნებელ ქვეყნებში შედიოდნენ, მალაიზია, ტაილანდი, ფილიპინები, ინდონეზია და სინგაპური. ასეანის წინამორბედად ითვლება ასა, რომელიც 1961 წლიდან 1967 წლამდე ფუნქციონირებდა და მისი წევრები იყვნენ, მალაია, ტაილანდი და ფილიპინები. ასეანის დაარსება მაშინდელ მსოფლიოში შეფასდა ინდონეზიური საგარეო პოლიტიკის დიდ წარმატებად, მისი დაარსება პირველრიგში შედეგი იყო ვიეტნამის ომისა, რომელმაც ნათლად დაანახა რეგიონის ქვეყნებს, თუ როგორ შეიძლება შეწიროვებულიყო სუვერენული ქვეყნის ინტერესები საგარეო ძალების ჩარევის შედეგად, ის მიმართული იყო აღმოსავლური ბლოკის და პირველ რიგში კომუნისტური ჩინეთის, რეგიონში ინტერვენციის წინააღმდეგ, ასევე მას უნდა შეექმნა თავის დაცვის საშუალება ძლიერი დასავლური ეკონომიკური კონკურენციისაგან, კომუნისტური კრახის შემდეგ ასეანის განვითარება უფრო დაჩქარდა. ასეანის წევრი სახელმწიფოების მიერ, ყოველწლიურად ეწყობა კონფერენცია, სადაც ქვეყნის უმაღლესი მმართველები ხვდებიან ერთმანეთს და მათი გაცხადებული გეგმა არის, რომ მიაღწიონ განვითარების და ორგანიზებულობის იმ დონეს რაც არის ევროკავშირში. (ASEAN History, 2018)

1984 წელს ორგანიზაციას შეუერთდა ბრუნეის სულთანატი. 1995 წლიდან ორგანიზაციის წევრი გახდა ვიეტნამი, 1997 წელს ორგანიზაცია ისევ გაფართოვდა და მას შეუერთდნენ მიანმარი და ლაოსი. 1999 წელს წევრი გახდა კამბოჯა. 1984 წლიდან მოყოლებული პაპუა ახალ გვინეას გააჩნია დამკვირვებლის სტატუსი, ხოლო 2006 წელს წევრობაზე განაცხადი გააკეთა აღმოსავლეთ ტიმორმა, რომელიც ჯერ კიდევ არ დაკმაყოფილებულა(about-asean/overview/, 2018).

ასეანის სტრუქტურა. ასეანის შიდა ორგანიზაციული სტრუქტურა სამ ძირითად საყრდენზეა დამდგარი. პირველი არის პოლიტიკური ერთობის გამომხატველი, რომელიც შექმნილია რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის და ქვეყნებს

შორის პოლიტიკური თანამშრომლობის ორგანიზებისათვის. მეორე არის სოციალური საყრდენი, რომელიც შექმნილია ორგანიზაციის მოსახლეობაში კულტურული დაახლოებისა და გაცვლის უზრუნველსაყოფად, ხოლო მესამე და ყველაზე უფრო მძლავრი არის ეკონომიკური საყრდენი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციის საერთო ეკონომიკური განვითარება და ორგანიზაციის შიგნით საერთო ბაზრის ჩამოყალიბება, ასევე საერთო საგარეო ეკონომიკური კავშირების დამყარება და შიდა ბაზრის განვითარება(asean-structure,2018).

ასეანის პოლიტიკური და უსაფრთხოების საყრდენი. ასეანის პოლიტიკური და უსაფრთხოების საყრდენის, გაცხადებული მიზანი არის, რომ უზრუნველყოს ქვეყნების მოსახლეობის ერთმანეთთან დაახლოება, აღმოფხვრას წევრ ქვეყნებს შორის არსებული პოლიტიკური დაძაბულობა და უზრუნველყოს დემოკრატიული და ჰარმონიული განვითარება. პოლიტიკური და უსაფრთხოების მიმართულებას საფუძველი 1997 წელს ჩაეყარა, და მის სამოქმედო გეგმაში, გაწერილია ის სტრატეგიული მიმართულებები, რომლებზეც ის არის პასუხისმგებელი. პოლიტიკური და უსაფრთხოების საყრდენის მთავარი პრინციპები არის, ჩაურევლობა, კონსესუსი, რეგიონული და ეროვნული სტაბილურობა და სუვერენიტეტისადმი პატივისცემა. მოცემული დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს, თანამშრომლობას პოლიტიკური განვითარებისათვის, რაც გულისმობს წევრი ქვეყნების აკადემიური წრეების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველყოფას ასეანის სამუშაო ჯგუფში და მათ შორის ურთიერთობების წახალისებას. მეორე მიმართულება კი არის, ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის ინფორმაციის თავისუფლად გაცვლის უზრუნველყოფა, რაც დაფუძნებული უნდა იყოს თითოეული ცალკე აღებული წევრის ეროვნულ კანონმდებლობაზე. მომდევნო საკითხები რასაც ითვალისწინებს პოლიტიკური და უსაფრთხოების დოკუმენტი ეს არის, თანხმობა კორუფციის პრევენციასა და აღმოფხვრაზე, კანონის განხორციელებაში ერთმანეთის მხარდაჭერა, იურიდული და საკანონმდებლო სისტემების გაძლიერება და დაახლოება, კარგი მმართველობის განხორციელებაში ერთმანეთისადმი მხარდაჭერა. ორგანიზაციას უსაფრთხოების უზრნველსაყოფად ერთ - ერთ ძირითად მიმართულებად აღებული აქვს, სამხრეთ ჩინეთის ზღვის რეგიონში, არსებული კონფლიქტური სიტუაციის გარშემო

თანამშრომლობა, სადაც ორგანიზაციის ქვეყნებს ჩინეთიც ემატება. ასეანისთვის უსაფრთხოების საკითხში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, ატომური იარაღისგან თავისუფალი ზონის შენარჩუნება. ორგანიზაციისთვის გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვანია კონფლიქტების არიდება, ასევე მნიშვნელოვანია კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაცია, რეგიონში არსებული კონფლიქტები ამჟამად ძირითადად ტერორიზმით არის გამოწვეული და შესაბამისად ტერორიზმთან ბრძოლა ასეანის პოლიტიკური და უსაფრხოების საყრდენის ერთ - ერთი ძირითადი მიმართულებაც არის. რესურსები ასეანის პოლიტიკური და უსაფრთხოების მიზნების მისაღწევად მობილიზებული იქნება, წევრი ქვეყნების შენატანებიდან, ასევე სხვა საერთაშორისო ორგანიზაიებთან თანამშობლობით, გარე დონორების მოძიების მეშვეობით და ასევე იმ ქვეყნების მხრიდან, რომლებიც განსაკუთრებით არიან დაინტერესებული რეგიონში სტაბილური პოლიტიკური სიტუაციით და უსაფრთხოების მაღალი დონით (ASEAN Political-Security Community Blueprint, 2009).

ასეანის სოციო - კულტურული განვითარების საყრდენი. ასეანის სოციო - კულტურული განვითარების საყრდენის ძირითად მიზანს წარმოადგენს, ადამიანთა ცხოვრების დონის გაუმჯობესება თანამშრომლობის მეშვეობით, რომელიც ორიენტირებული იქნება ადამიანებზე. რომლის ცენტრშიც მოქცეული იქნებიან ასეანის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები და მთელი ეს განვითარება მოქცეული უნდა იყოს გარემოსადმი მეგობრულ და მდგრადი განვითარების ჩარჩოს ფორმაში. მოცემული მიზნის მისაღწევად მთავარ აქტორებად ასეანის სოციო - კულტურული საყრდენის მიღწევის გეგმაში, განხილული არიან ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციები ასევე ადგილობრივი დონის მმართველობითი ორგანოები. ასეანის სოციო - კულტურული განვითარების საყრდენი მიმართულია, რომ გააძლიეროს ქალების ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უზრნველყოს გენდერული თანასწორობა, შეამციროს ბარიერები სოციალური განვითარების პროცესში, უზრუნველყოს ყველა მოქალაქისთვის თანაბარი წვდომა სახელმწიფო მომსახურებებზე და თანაბარი განვითარების შესაძლებლობები. ადამიანის უფლებების ლობირება და დაცვა. გარემოსდაცვითი პრობლემები და ბიომრავალფეროვნების უზრუნველყოფა, ბრძოლა კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ. დაცვა ბიოლოგიური და ქიმიური

საფრთხეებისგან, ასევე ბუნებრივი კატოსტროფების პრევენცია. ბრძოლა ნარკოტიკების და ნარკოდამოკიდებულების წინააღმდეგ. ასეანის სოციო - კულტურული განვითარების საყრდენი ასევე ითვალისწინებს მდგრადი წარმოებისა და მოხმარების მხარდაჭერას. რაც თავისმხრივ გულისმობს ისეთი ტექნოლოგიების მხარდჭერას, რომლებიც უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან გამოყენებას. ასევე უზრუნველყოს გარემოსადმი ცნობიერების ამაღლება, რათა ცხოვრებაში მიღებულ იქნეს გარემოს მდგრადი ათვისება. ნარჩენების მდგრადი მართვა და ენერგოეფექტიანობის ზრდა. მდგრადი მოხმარებისა და წარმოების სტრატეგიის ხელშეწყობა, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე (ASEAN SOCIO-CULTURAL, 2016).

ასეანის ეკონომიკური საყრდენი. ასეანის მესამე და ყველაზე ძლიერი საყრდენი არის ეკონომიკური. მისი პირველი მიზანი არის მაღალი დონის ეკონომიკური ინტეგრაციის მიღწევა. რაც მიღწეული უნდა იქნას, ორგანიზაციის შიგნით, კაპიტალის, ინვესტიციების, ნაწარმის და სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილების მეშვეობით. რაც გაზრდის ვაჭრობისა და წარმოების მოცულობას, საბოლოოდ კი უნდა ჩამოყალიბდეს კიდევ უფრო ერთიანი ბაზარი, როგორც მწარმოებლებისათვის ასევე მომხმარებლებისათვის. ასეანის, ეკონომიკური საყრდენის პირველი ფუნქცია, არის ძლიერ ინტეგრირებული და შეკრული ბაზრის ჩამოყალიბება, რაც პირველ რიგში უნდა შეეხოს საქონლით ვაჭრობას, რაც გულისმობს ორგანიზაციის წევრ, ქვეყნებს შორის საბაჟო ტარიფების ელიმინაციას და საქონლის ამგავრად უფრო სწრაფ გაცვლას. იმისათვის, რომ მოცემული მიზანი იქნეს შესრულებული, დაგეგმილია რეფორმები, პირველი გულისხმობს წარმოშობის წესების ჰარმონიზაციას, რის შედეგადაც ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მიერ წარმოებულ პროდუქციას უნდა ჰქონდა მსგავსი წესით გაკეთებული მარკირება, რაც გაადვილებს ვაჭრობას ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის. ორგანიზაცია მომდევნო ნაბიჯად განიხალავს პროდუქციისთვის სპეციალური მარკირების შემოღებას.

ასეანმა გადამწყვეტი როლი შეასრულა 2013 წელს, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ, ვაჭრობის ხელშეწყობის შეთანხმების მიღებაში, ამ მიზნით ორგანიზაციის შიგნით ჩამოყალიბებულია ასეანის ვაჭრობის ხელშეწყობის კომიტეტი,

რომელიც იღწვის წევრი ქვეყნებს შორის მსგავის სავაჭრო რეჟიმების დაწესებისთვის. მომდევნო ნაბიჯი არის, დაახლოების პროცესის დაჩქარება მომსახურების სფეროში, რამაც უნდა უზრუნველყოს მომსახურების სფეროს სწრაფი განვითარება ასეანის წევრ ქვეყნებში, რაც გამოიხატება სტანდარტების დაახლოებით, გამოცდილების, ცოდნის და ტექნოლოგიების გაზიარებაში, რის შედეგადაც მეორეული დარგებიდან მარტივად უნდა მოხდეს სამუშაო ძალის მესამეულ ძალებში გადანაცვლება. ამისათვის კი მომსახურებებით ვაჭრობის სფეროში ასეანის წევრმა ქვეყნებმა უნდა მოხსნან შეზღუდვები სხვა წევრი ქვეყნებისათვის ბაზარზე წვდომისას, ასევე მომსახურებებით ვაჭრობის სფეროში არ უნდა გაჩნდეს ახალი რეგულებიციები. ამისათვის ასეანმა შეიმუშავა მომსახურებებით ვაჭრობის შეთანხმება, როგორც ლეგალური ინსტრუმენტი და ამ რეფორმის საკანონმდებლო მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. ეკონომიკური საყრდენის მესამე ნაწილი შეეხება ასეანის საინვესტიცო გარემოს, რის მიზანსაც წარმოადგენს, ასეანის საინვესტიცო გარემოს გაუმჯობესება, საინვესტიციო შეზღუდვების მოხსნის მეშვეობით, შეზღუდვების მოხსნა უნდა მოხდეს თანდათონობით და მოიცვას ეკონომიკის ყველა სფერო და დარგი. გარდა შეზღუდვების მოხსნისა, უნდა გაჩნდეს ახალი ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფს ინვესტიციების დაცვის უფრო მარალ სტანდარტს, გამჭვირვალე კანონების და ადმინისტრაციული რეგულაციების მეშვეობით. ამ მიზნის მისაღწევად ასეანში შექმნილი ინვესტიციების კოორდინირების კომიტეტი, რომელიც მუშოაბს ყველა წევრ ქვეყანასთან, საერთო წესების შეთანხმების მიზნით.

ეკონომიკური საყრდენის მეოთხე ნაწილი შეეხება ფინანსურ ინტეგრაციას, ფინანსურ ჩართულობას და ფინანსური სტაბილურობას. ეს სამი მიზანი არის, რომელიც მიღწეულ უნდა იქნეს რეგიონის ფინანსური სექტორის ინტეგრაციის 2025 წლამდე. ამ სამი მიზნის მისაღწევად, ასეანის ქვეყნებს შორის უნდა მოიხსნას ფინანსურ ბაზრებზე არსებული ბარიერები,რამაც უნდა უზრუნველყოს ფინასების თავისუფალი მიმოსვლა ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის, მხარი უნდა დაუჭიროს ასეანის წევრი ქვეყნების ადგილობრივ ბანკებს, რათა მათ შეძლონ უფრო ინტეგრირებული ფინანსური ბაზრის ჩამოყალიბება, უნდა მოხდეს სადაზღვევო ბაზრის ინტეგრაცია და სადაზღვევო

პირობების უნიფიკაცია ორგანიზაციის მასშტაბით ასევე წევრ ქვეყნებს შორის კაპიტალის მოპოვობეის გამარტივება.

მოცემული მიზნის მისაღწევად არსებობს ასეანის შეთანხმება მომსახურებებით თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. რაც გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც ლეგლაური პლატფორმა ორგანიზაცისი წევრი ქვეყნების ფინანსური ინსტიტუციების დასაკავშირებლად ასევე ორგანიზაციის დიალოგ პარტნიორი ქვეყნების ფინანსური ინსტიტუციების ჩასართავად. ასეანში შექმნილია ბანკების მუშაობის ჩარჩო, რამაც უნდა უზრუნველყოს კვალიფიცირებული ბანკებისათვის წევრი ქვეყნების ბაზრებზე ოპერირებისას მეტი მოქნილობა და გაუმჯობესებული წვდომა ბაზართან.

ასენში ასევე შექმნილია სადაზღვევო ბაზრების ინტეგრაციის სამუშოა ჩარჩო, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების შემცირება მოცმეულ სექტორში, ასევე წესების და რეგულაციების უნიფიკაცია მთელი ორგანიზაციის მასშტაბით.

ასეანის ეკონომიკური საყრდენის მეხუთე ნაწილი მიმართულია, ორგანიზაციის შიგნით, გამოცდილი სამუშოა ძალის გადაადგილების და ბიზნეს ვიზიტების გამარტივებისაკენ. რის შედეგადად ორგანიზაციის მასშტაბით, უნდა ამოქმედდეს პიროვნების კვალიფიკაციის დამადასტურებელი საერთო სტანდარტი.

ასეანის ეკონომიკური საყრდენი ასევე ითვალისწინებს, ორგანიზაციის მიბმას გლობალურ ღირებულებით ქსლებთან, შიდა ლეგალური ბაზის იმგვარად დახვეწას, რომ საფუძველი შეექმნას პატიოსან კონკურენციას, დაცული იქნეს ინტელქტუალური საკუთრება, მომხმარებელთა უფლებები, ასეანის ეკონომიკური საყრდენის მიზნებში ასევე შედის, მოხდეს ტექნოლოგიების და ცოდნის გაზიარება მის წევრ ქვეყნებს შორის, ხელი შეეწყოს ტექნოლოგიების გამოყენებით პროდუქტიულობის ზრდას და ამავე დროს მოხდეს ტექნოლოგიების კომერციალიზაცია. ასეანისთვის ასევე მნიშვნელოვანი ელექტორინული კომერციის და ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა მის წევრ ქვეყნებში, რისთვისაც პირველ რიგში გადაწყვეტილია, რომ მოხდეს ამ დარგების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზების ჰარმონიზაცია წევრ ქვეყნებს შორის(DECLARATION ON THE ASEAN ECONOMIC COMMUNITY BLUEPRINT, 2008).

ასეანის თავისუფალი ვაჭრობის ზონა. თავისუფალი ვაჭრობის ზონა (AFTA) ორგანიზაციის წევრ, ქვეყნებს შორის ვაჭრობის გასაძლიერებლად შეიქმნა დ ამას ხელი 1992 წელს მოეწერა. თავისუფალი ვაჭრობის ზონას შეუერთდა ბრუნეი, ინდონეზია, მალაიზია, სინგაპური, ფილიპინები და ტაილანდი. თავისუფალი სავაჭრო ზონის ხელშეკრულების მიზანი არის, ორგანიზაციის შიგნით სავაჭრო ტარიფების მაქსიმალურად შემცირება. ამ მიზნის მისაღწევად ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებმა, შექმნეს საერთო ეფექტური შეღავათიანი ტარიფი, რის შედეგადაც საბაჟო ტარიფი პროდუქციის 99 % - ზე მეტისათვის დავიდა 0 – 5 % - ზე. ვიეტნამში, კამბოჯაში, ლაოსში და მიანმარში დაწყებულია საერთო ეფექტური შეღავათიანი ტარიფის პირობებში მოქცევა და პროდუქციის დაახლეობით 66 % უკვე მოხვდა ამ სატარიფო გეგმაში, ახალი სატარიფო გეგმის შემოღების შედეგად სატარიფო განაკვეთი, 1993 წლის 12,76 % - დან, 2003 წლისათვის 1,51 % - მდე შემცირდა. სავაჭრო ტარიფების შემცირება მნიშვნელოვნად დაჩქარდა 2004 წელს, მალაიზიაში მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, როდესაც მალაიზიამ ყველა საავტომობილო ნაწარმზე ტარიფების შემცირება გამოაცხადა, რათა მას წინსწრებით შეესრულებინა ტარიფების შემცირების გეგმა. საერთო ეფექტურ შეღავათიან ტარიფში, პროდუქცია, რომ არ მოხვდეს, ამისავის სახელმწიფო უნდა დაასაბუთს, რომ ის არის მნიშვნელოვანი სასოფლო მეურნების პროდუქცია, (მაგალითად ბრინჯი), რომ საჭიროა ამ კონკრეტული ნაწარმის, დროებით საერთო ეფექტური შეღავათიანი ტარიფის სიიდან ამოღება, (თუკი სახელმწიფო თვლის, რომ რომელიმე ექსპორტიორმა ქვეყანამ, მოიპოვა გარკვეული პროდუქციის წარმოებაში აბსოლიტური უპირატესობა, შეუძლია ამ პროდუქციას დაუწესოს ტარიფი). თუკი პროდუქცია ხვდება იმ პროდუქციის საერთო სიაში, რომელიც არ სარგებლობს ასეანის საერთო ეფექტური შეღავათიანი ტარიფის პირობებით (ASEAN Free Trade Area (AFTA Council), 2018)(ASEAN - Die Freihandelszone Asiens, 2017).

ასეანის საინვესტიციო არეალი. ასეანის საინვეტიციო არეალი (AIA) , შიდა და რეგიონსგარე ინვესტიციების მოზიდვის უზრუნველყოფისთვის 1995 წელს შეიქმნა, საინვესტიციო არეალის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება საჭირო გახდა იმისათვის, რომ თანაბარი შესაძლებლობა ჰქონოდათ ასეანის წევრ ქვეყნებს, როგორც ინვესტიციების მიღების ასევე გაცემის დროს და ამავე დროს თანაბრად მიმზიდველი

ყოფილიყო ასეანის წევრ ქვეყნებში ინვესტიციის გაკეთება გარე ინვესტორებისათვის, ამისათვის ხელშეკრულებამ მიზნად დაისახა, საინვესტიცო ბარიერების მოხსნა, ინვესტირების პროცესის და პროცედურების რაციონალიზაცია, გამჭვირვალობის გაზრდა და ინვესტირების გაადვილების ღონისძიებების ჩატარება (ASEAN Investment Area (AIA) Council, 2018).

ასეანის საინვესტიცო არეალის მიერ განხორციელებული რეალური ნაბიჯები იყო, 3 წლის მანძილზე ინვესტორებისათვის მოგების გადასახადისგან განთავისუფლება, ანდა მინიმუმ 30 % შეღავათი საინვიესტიციო გადასახადებში. 100 % ფლობის უფლება უცხოური კაპიტალის შემოსვლისას, კაპიტალის მფლობელზე, კაპიტალური საქონლის საბაჟო გასახადისგან განთავისუფლება, წვდომა შიდა ბაზართან, მინიმალური ინდუსტრიული და საიჯარო პერიოდი 30 წლით, უცხოელი პერსონალის დასაქმების უფლება, დაჩქარებული საბაჟო პროცედურები.

ქვეყნების მიხედვით მოცმული პირობები არ იცვლება, თუმცა შეიძლება დაემატოს სხვა დამატებითი პირობა მოცემული პრივილეგიების მისაღებად როგორიც არის, მინიმუმი საინვესტიცო კაპიტალის მოცულობა დ ინვესტირების სფერო. მაგალითად, ბრუნეი თანახმაა 100 % უცხოური ინვესტიცია მიიღოს, თუკი ეს არის მაღალი ტექნოლოგიების მწარმოებელი კომპანია ან ექსპორტზე ორიენტირებული საწარმო. ინდონეზია 100 % უცხოური ინევსტიციას მიიღებს თუკი კომპანიები შევლენ საბითუმო და ან საცალო ვაჭრობაში. ინვესტორი რომელიც ინდონეზიაში ჩადებს $ 100 მლნ ნაკლებს, ინვესტიციის სახელმწიფოს მხრიდან დადასტურების პერიოდი განისაზღვრება არაუმეტეს 10 დღისა. საბანკო სფეროში შემსვლელ ახალ კომპანიებსაც ეძლევათ უფლება ახალი ბანკი დააფუძნონ 100 % უცხოური კაპიტალის გამოყენებით. ლაოსში ნებადართულია საინვესტიციო საქონლის შეღავათიანი საბაჟო ტარაფებით შეტანა, იმ დარგებისთვის რომელთა განვითარებაც ქვეყნის პრიორიტეტში არის. მალაიზიაში დაშვებულია წარმოების სექტორში 100 % უცხოური ინვსტიციით შესვლა და არ არის არანაირი საექსპორტო პირობები ინვესტიციებზე ახალ დარგებში. უცხოლებს ასევე უფლება აქვთ მალაზიაში ჰქონდეთ მიწა გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში. მიანმარში ყველა ინვესტიცია განთავისუფლებულია 3 წლის მანძილზე მოგების

გადასახადისგან, დამატებით კომპანიები განთავისუფლდებიან საბაჟო გადასახადისგან, ყველა იმ საქონლის იმპორტისას რაც საჭიროა მათი კომპანიების ფუნქციონირებისათვის, 3 წლის განმავლობაში. ფილიპინებმა სრულიად გახსნა ვაჭრობის სფერო უცხოური კაპიტალისათვის, ასევე კერძო სამშნებლო კომპანიებს უფლება აქვთ შიდა ბაზარზე შემოიყვანონ უცხოური კომპანიები და იმოქმედონ მათთან ერთად. სინგაპურმა, თანდათან შეამცირა, ბიზნესის წარმოების ხარჯები 30 % - იანი შეღავათის მიცემით საინვესტიციო ხარჯებზე, საწარმოო დანადგარების წარმოების სფეროში, ასევე იმ სფეროებში რომლებიც ორიენტირებული არის ტექნიკური მომსახურებების გაწევაზე და კომპიუტერულს მომსახურებასთან დაკავშირებულ სფერობზე. ტაილანდმაც დაუშვა წარმოების ნებისმიერ სფეროში 100 % უცხოური ინვესტიიც შესვლის უფლება, ასევე სოფლის მეურნეობის ის დარგები რომელებსაც წარმოებული პროდუქციის 80 % ან მეტი ექსპორტზე გააქვთ განთავისუფლებული არიან, საწარმოო ტექნიკის იმპორტის დროს საბაჟო გადასახადისგან და ეს შეღავათები ვრცელდება ტაილანდის მთელ ტერიტორიაზე. ვიეტნამმა საბაჟო შეღვათები დააწესა, საინვესტიციო საქონლის იმპორტზე ყველა სახის ინვესტიციასა და პროექტზე, რომლებიც ოპერირებენ ქეყნის მთიანი რეგიონებში, ეს საშეღავათო პერიოდი გრძელდება ოპერირების 5 წლის მანძილზე. ასევე ოპერირების დაწყებისათვის საბუთების მომზადების პერიოდი და ნებართვის გაცემის დრო განისაზღვრა მაქსიმუმ 15 დღით. ასევე ის ინვესტიციები, რომლებიც $ 5 მლნ ნაკლებია, შეიძლება მიღებული იქნეს პროვინციის შესაბამისი სამსახურის დონეზე (Thanadsillapakul, 2017).

ორგანიზაციის შემადგენლობაში ასევე არის სხვა დაქვემდებარებული ორგანიზაციებიც, როგორიცაა ასეანის საუნივერსიტეტო ქსელი, არასამთავრობო ორგანიზაცია ასეანის წევრ სახელმწიფოებში უმაღლესიგანათლების ხელშეწყობისთვის, ასეანის სამეცნიერო ჯილდო, გაიცემა ასენაის სტიპენდიები, ასენის ბუნებრივი პარკები, ასეანის ლიტერატურული დაჯილდოება, ასეანის საფეხბურთო ჩემპიონატი და ასეანის ფეხბურთის ფედერაცია(ASEAN University Network, 2018)(ASEAN Tätigkeitsfelder, 2017).

1.2 ასეანის საერთაშორისო ხელშეკრულებები.

ასეანს როგორც ცალკეულ ერთეულს გაფორმებული აქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები, თავის დიალოგ პარტნორებთან. სულ ასეთი 6 ხელშეკრულებაა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, პირველი ხელშეკრულება ავსტრალია - ახალ ზელანდიასთან ერთად გაფორმდა. ეს ხელშეკრულება ძალაში 2010 წლის იანვარში შევიდა და ის საკითხთა ფართო სპექტრს შეეხება, საქონლით და მომსახურებებით ვაჭრობა, ინვესტიციები, ინტელექტუალური საკუთრება და კონკურენცია. ხელშეკრულების თანახმად, ავსტრალიის და ახალი ზელანდიის საქონლით ვაჭრობის 99 %, ინდონეზიასთან, მალაიზიასთან, ფილიპინებთან და ტაილანდთან 2020 წლისთვის სრულაიდ განთვასუფლდება საბაჟო ტარიფებისგან, ხოლო 2025 წლისათვის მოცემული ხელშეკრულება შეეხება ასეანის ყველა წევრ ქვეყანას. 2016 წელს ასეანის ვაჭრობის მოცულობა ავსტრალიასთან $ 52,7 მლრდ იყო, ხოლო ახალ ზელანდიასთან $ 7,9 მლრდ.

ასეანსა და ინდოეთს შორის გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, ძირითადად ორიენტირებული არის, საქონლით ვაჭრობაზე. შეთანხმებამ მოიცვა წარმოებული პროდუქციის 90 % და 4000 მეტი ტიპის პროდუქტზე უკვე 2016 წელს იყო, საბაჟო ტარიფი მოხსნილი. ინდოეთსა დ ასეანს შორის სავაჭრო ბრუნვამ 2016 წელს $ 58,4 მლრდ - ს მიაღწია.

ასეანსა და სამხრეთ კორეას შორის, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, ხელშეკრულება 2006 წელს გაფორმდა და ძალაში შევიდა 2007 წელს, ხელშეკრულება ფარავს, წარმოებული პროდუქციის 90 % - ს, რომლებიც საბაჟო ტარიფის გარეშე იცვლება ასეანის ქვეყნებსა და სამხრეთ კორეას შორის. ვაჭრობის მოცულობა ასეანსა და სამხრეთ კორეას შორის $ 124,2 მლრდ - ს ტოლია.

2008 წლის დეკემბერში, ძალაში შევიდა ასეანსა და იაპონიას შორის, ყოვლისმომცველი ეკონომიკური პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულება, ხელშეკრულება ეხება საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობას, ინვესტიციებს და ეკონომიკურ თანამშრომლობას. იაპონიასთან გაფორმებული ხელშეკრულება ეხება

პროდუქციის 87 % - ს და ის ასევე მოიცავს დავების გადაწყვეტის მექანიზმს. ასეანსა და იაპონიას შორის გაფორმებული ხელშეკერულება ასაევე გულისხმობს ერთმანეთისათვის დახმარებას შესაძლებლობების გაზრდის მიზნით და თანამშორმლობას ორივე მხარისათვის საინტერესო დარგებში. ეს კი ძირითადად შეეხება, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, სავაჭრო პროცედურებს, ადამიანური რესურსების განვითარებას, პატარა და საშუალო ზომის კომპანიების მხარდაჭერას, ასევე ტრანპორტსა და ლოჯისტიკას. ასეანის წევრ ქვეყნებთან სტაბილური და პროგნოზირებადი ურთიერთობა უმნიშვნელოვანესია იაპონიის ეკონომიკისათვის, ვინაიდან აქ გაივლის იაპონიის მიერ მოხმარებული რესურსების დიდი ნაწილი, ასევე მნიშვნელოვანია ასეანი იაპონიის ექსპორტისთვისაც ვინაიდან იაპონიის ექსპორტი ასეანში $ 105 მლრდ - ს ტოლია, მთლიანი ვაჭრობის მოცულობა კი $ 201 მლრდ - ს უდრის.

ასეანს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება ასევე გაფორმებული აქვს ჩინეთთან, ხელშეკრულებას სასაქონლო ვაჭრობის შესახებ 2004 წელს მოეწერა ხელი, ხოლო 2005 წელს ძალაში შევიდა და რატიფიკაცია გაუკეთდა ასეანის წევრი ყველა სახელმწიფოს მიერ. 2010 წლისთვის სავაჭრო ტარიფები გაუქმდა ასეანის დამფუძნებელ 6 სახელმწიფოსა და ჩინეთს შორის. ხოლო 2015 წლისათვის პროცესი დაასრულეს ასევე, კამბოჯამ, ლაოსმა, მიანმარმა და ვიეტნამმა. ხელშეკრულების გაფორმებიდან ჩინეთი ყოველწლიურად ასეანის მთავარი სავაჭრო პარტნიორია, 2016 წელს მათ შორის სავაჭრო ტვირთბრუნვამ $ 368 მლრდ - ს მიაღწია. ასეანის ქვეყნების ექსპორტი ჩინეთში $ 143 მლრდ - ს ტოლია, ხოლო ჩინეთის ექსპორტი ასეანში $ 224 მლრდ - ს ტოლია. ჩინეთისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასეანთან ურთიერთობა, ვინაიდან ის წარმოადგენს მისთვის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის უმნიშვნელოვანეს გზას, ჩინეთი ანხორციელებს ნავთობსადენისა და რკინიგზის პროექტებს მიანმარში, ლაოსში მდინარე მეკონგზე ჩინური ინვესტიციით მიმდინარეობს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. 2020 წლისათვის ჩინეთსა და ასენას მიზნად აქვთ დასახული, რომ მიაღწიონ $ 1 ტრილიონს ვაჭრობის მოცულობაში და $ 150 მლრდ - ს ინვესტიციებში.

2017 წლის 12 ნოემბერს, თავისუფალი ვაჭრობისა და ინვესტირების შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა ასეანსა და ჰონგ - კონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულს შორის, ხელშეკრულება ძალაში შევა 2019 წლის 1. იანვრიდან. ხელშეკრულება ფარავს ეკონომიკური ურთიერთობების თითქმის ყველა ასპექტს, როგორიცაა საქონლით ვაჭრობა, სავაჭრო ტარიფები, წესები პროდუქციის წარმოშობის შესახებ, საბაჟო პროცედურები და მისი გამარტივების გზები, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერები, მომსახურებბეით ვაჭრობა, ინვესტიციები და დავების გადაწყვეტის საკითხი. (Free Trade Agreements with Dialogue Partners, 2018) (დანართი 5)

1.3 ასეანის როლი მსოფლიო ეკონომიკაში

ასეანი თანამედროვე მსოფლიოს არქიტექტურაში, უკვე თამაშობს მნიშნელოვან როლს და დღევანდელი განვითარების ტრენდების მიხედვით კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს მსოფლიოს ეკონომიკისთვის და შესაბამისად პოლიტიკისთვისაც.

ასეანის სახელმწიფოები, ყველანი ერთად ქმნიან საკმაოდ მრავალფეროვან ერთობას, რომლის თითოეული ნაწილის ჩამოყალიბება, საუკუნეების განმავლობაში განპირობებული იყო, მისი ეკონომიკური თუ პოლიტიკური ურთიერთობებთ, მის მეზობელ სახელმწიფოებთან. ორგანიზაციის ქვეყნები საუკუნეების მანძილზე განიცდიდნენ, ჩინურ - კონფუციანური, ინდური - ჰინდუისტური და ბუდისტური, არაბული - ისლამური, კულტურის გავლენას, რასაც მოჰყვა ევროპული კოლონიალური მმართველობა რეგიონის ყველა ქვეყანაში გარდა ტაილანდისა, თუმცა მასზეც დიდი იყო ევროპის კულტურული გავლენა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი, რეგიონი იქცა კომუნიზმისა და კაპიტალიზმის დაპირისპირების არენად, დიდი არის იაპონური ეკონომიკური აქტორობის გავლენა და ინტერესი რეგიონზე, და რათქაუნდა ამერიკა და ჩინეთიც ცდილობენ გავლენის მოპოვებას რეგიონში. მოკლედ რომ შევაფასოთ რეგიონით დაინტერესებულია, მსოფლიოს ყველა ძლიერი სახელმწიფო და ცდილობს აქ, თავისი გავლენის შექმნას ან და გაფართოებას.

რეგიონის ასეთი წარსული კარგად არის ასახული მის რელიგიურ და ეთნიკურ სტრუქტურაზე, ასევე იმ ენებში, რომლებზეც რეგიონის მოსახლეობა საუბრობს.

ორგანიზაციის წევრი ქვეყნები არ გამოირჩევიან დემოკრატიის მაღალი დონით, არსებობს კონფლიქტები წევრ ქვეყნებს შორის, საინტერესო კონტრასტია, როცა ერთად იმყოფება ინდონეზია და ქალაქ სახელმწიფო სინგაპური, უმდიდრესი სინგაპური და უღარიბესი ლაოსი და მიანმარი, ახალ დემოკრატიული ინდონეზია და ფილიპინები, კონსტიტუციური მონარქიები კამბოჯა და ტაილანდი, აბსოლუტური მონარქია ბრუნეი, ავტორიტარული მალაიზია და სინგაპური, კომუნისტური ერთპარტიული სისტემის მქონე ლაოსი და ვიეტნამი და დემოკრატიის გზაზე შემდგარი მიანმარი, რომელიც წლების განმავლობაში სამხედრო ხუნტის მიერ იმართებოდა. ყველა ქვეყნას ჰყავს სერიოზული რაოდენობით ეთნიკური უმცირესობები რომლებიც არა არიან საკამრისად ინტეგრირებული ქვეყნის საზოგადოებაში და ხშირად კონფლიქტშიც იმყოფებიან მაგალითად, ვიეტნამის დაპირისპირება მთიელებთან, ფილიპინების ცენტრალური ხელისუფლების დაპირისპირება მუსლიმ უმცირესობასთან, განსხვავება არის რელიგიის მიხედვითაც ვიეტნამელების უმრავლესობა ათეისტებად მიიჩნევა, ინდონეზია, მალაიზია და ბრუნეი ისლამური სახელმწიფოებია, ტაილანდი, მიანმარი, კამბოჯა და ლაოსი ბუდისტური სახელმწიფოებია, ფილიპინების მოსახლეობა დიდი უმრავლესობით ქრისტიანობის კათოლიკურ მიმართულებას მიჰყვება. ყველა ზემოთ ჩამოთვლილის მიუხედავად რეგიონული ინტეგრაცია იმდენად საჭიროა, რომ ეს ქვეყნები თანხმდებიან საერთო პრინციპებზე, 2007 წელს მიღებულ იქნა ორგანიზაციის ადამიანის უფლებების ქარტია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დაცვა ყველა ადამიანის უფლებებისა ვინც ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეა. (ASEAN Human Rights Declaration, n.d.)

იმისთვის, რომ ხაზი გავუსვათ ასეანის მნიშვნელობას მსოფლიოში და მსოფლიოს ეკონომიკურ არქიტექტურაში, საჭიროა გადავხედოთ იმ მონაცმეებს, რომელიც გვიჩვენებს ასეანის წილს მსოფლიოს სხვადასხვა რეიტინგებში.

ასეანის ფართობი 4.480.331 კვადრატული კილომეტრია, და ამ ტერიტორიაზე 644 მლნ ადამიანი ცხოვრობს, რაც მას ინდოეთისა და ჩინეთის შემდგომ მსოფლოში მესამე

ადგილზე აყნებს. ტერიტორიის ფართობით ის დედამიწის ხმელეთის ზედაპირის 6,7 % - ს იკავებს, ხოლო მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით დედამიწის მოსახლეობის 8,6 %, ასეანის წევრ ქვეყნებში ცხოვრობს. (Selected basic ASEAN indicators, 2017)

2017 წლის მონაცემებით ასეანის ეკონომიკა მსოფლიოს მშპ - ს 10.4 % - ს შეადგენს, რაც 7,9 ტრილიონი აშშ დოლარის ტოლია, ამ მაჩვენებლით, ის ჩამორჩება, მხოლოდ აშშ - ს, ევროკავშირს და ჩინეთს. რაც შეეხება ერთ მოსახლეზე შემოსავლების რაოდენობას, საერთაშორისო სავულუტო ფონდის 2016 წლის მონაცემებით ასეანის საშუალო მაჩვნებეელი 4,034 დოლარი იყო, რითაც ის საშუალოზე დაბალი შემოსვალის მქონეთა კატეგორიაში, ხვდება, თუმცა თუკი ამ მონაცემს შევადარებთ 2007 წელს, მაშინ ასეანში ერთ მოსახლეზე საშუალო შემოსავალი 2,373 დოლარი იყო, რაც მოცემულ 9 წელიწადში 70 % - იან ზრდას ნიშნავს. ხოლო სინგაპური მსოფლიოში მესამე სახლემწიფოა ერთ ადამიანზე მშპ - ს წილით ($ 90,531). (International Monetary Fund, 2018). (დანართი 6 - 7)

2016 წელს, ასეანმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით, 114,72 მლრდ დოლარი მიიღო, ინვესტორებს შორის პირველ ადგილზე ევროოკავშირია, (32 მლრდ) მეორე ადგილზე ასეანის სახლემწიფოები არიან, რომელთაც ინვესტიციები ასეანის წევრ სხვა სახელმწიფოში განახორციელეს, ასეთი ინვესტიციების მოცულობა 28 მლრ დოლარის ტოლია, $ 12 მლრდ ინვესტიცია ორგანიზაციის წევრმა ქვეყნებმა აშშ - დან მოიზიდეს და $ 11,5 მლრდ იაპონიიდან, მომდევნო არის ჩინეთი თითქმის 10 მლრდ აშშ - დოლარის ინვესტიციებით, რომელსაც მოჰყვება სამხრეთ კორეა 5,7 მლრდ ინვესტიციით, ავსტრალია 3,4 მლრდ ინვესტიციით და ინდოეთი 1 მილიარდიანი ინვესტიციით (ASEAN Statistical Yearbook, 2017).

ასეანის ქვეყნების მთლიანი ექსპორტის მოცულობა 1,15 ტრილიონის ტოლია, ხოლო ასეანის ქვეყნების იმპორტის ჯამური მოცულობა 1,08 ტრილიონის ტოლია, რაც ჯამში პლიუს 70 მლრდ დოლარს უდრის. ასეანის ექსპორტის ძირითადი მოცულობა მოდის, ელექტრო ნაწარმზე, ძირითადად საეოჯახო ელქტრონიკაზე და ის მთლიანი ექსპორტის 25,6 % - ის ტოლია, ასეანის ქვეყნების ექსპორტში, მეორე ადგილს იკავებს ინდუსტრიული დანადგარები, ატომური რეაქტორები, საქვაბეები და მძიმე

ინდუსტირული დანადგარების ნაწილები, საერთო ჯამში, ასეანის ქვეყნების კომბინირებული ექსპორტის 11,4 % - შეადგენს. მესამე ადგილზე კი არის მინერალური საწვავი, ნედლი ნავთობი და ბითუმის შემადგენელი საწვავი, ასევე ბუნებრივი ცვილი - ჯამში 9,5 %. მეოთხე ადგილზეა, ბუნებრივი და ხელოვნური მარგალიტი ასევე ძვირფასი ქვები და მეტალებიჯამში 3,7 %. მეხუთე ადგილზე კი არის სატრანპორტო საშუალებების ექსპორტი, რაშიც შედის როგორც ავტომობილები ასევე მატარებლები და ტრამვაი, ასევე მათი სათადარიგო ნაწილები რაც ჯამში ასევე 3,7 % - ის ტოლია. მეექვსე არის პლასტიკატის და პოლიმერული შენადნობების და ნაერთების ექსპორტი რაც ჯამში მთლიანი ექსპორტის 2,3 % - ია. მეშვიდე არის, ოპტიკური და საზომი ხელსაწყოების ექსპორტი, რაც მთლიანი ექსპორტის 3,1 % - ია. მთლიანი ექსპორტის 2,8 % არის, ცხოველური ცხიმების, მცენარეული ცხიმების და ცხოველების და ბოსტნეულის ექსპორტი. მომდევნო არის რეზინის მისი პროდუქციის ექსპორტი, რაც მთლიანი ექსპორტის 2,5 % არის, მომდევნო არის, ორგანული ქიმიური ნაერთები რაც მთლიანი ექსპორტის 2,4 % - ს შეადგენს. მოცემული პროდუქციის ათეულის კი დარჩნეილი პროდუქცია, მთლიანი ექსპორტის 32,2 % ია (ASEAN Statistical Yearbook, 2017).

ასეანში ძირითადი საიმპორტო საქონელი, არის საყოფაცხოვრებო ელექტორნიკა, რომელიც 2016 წლის მონაცმებით, მთლიანი იმპორტის 23,4 % - ს შეადგენს. მეორე ადგილზე კი არის, ინდუსტრიული დანადგარები, ატომური რეაქტორები, საქვაბეები და მძიმე ინდუსტირული დანადგარების ნაწილები რაც მთლიანი იმპორტის 13,1 % - ია, მესამე ადგილზე 12,1 % - ით, მინერალური საწვავი, ნედლი ნავთობი და ბითუმის შემადგენელი საწვავი, ასევე ბუნებრივი ცვილი არის. მეოთე ადგილზე 4 % - ით არის, პოლიმერული ნაერთების იმპორტი. მთლიანი იმპორტის 3,9 % არის სტრანსპორტო საშუალებები მისი ნაწილები. იმპრტოს 3,3 % არის, რკინა და ფოლადი. 3,2 % არის, ბუნებრივი და ხელოვნური მარგალიტი ასევე სხვა ძვირფასი მეტალები. მთლიანი იმპორტის 2,8 % არის, ოპტიკური და ზუსტი ხელსაყოები. 1,9 % არის და ასევე 1,9 % არის, ორგანული ქიმიური ნაერთების იმპორტიც, ხოლო დარჩენილი 30,3 % სხვადასხვა საქონელზე ნაწილდება (ASEAN Statistical Yearbook, 2017).

II. ასეანის და მისი წევრი ქვეყნების გეოეკონომიკური სტრატეგიები

2.1 ასეანის გეოეკონომიკური სტრატეგია

დღევანდელ მსოფლიოში სადაც გლობალიზაცია შეუქცევად პროცესად იქცა და ამ პროცესის ეკონომიკური სარგებელი აშკარაა, ქვეყნები უფრო მეტად ცდილობენ გეოგრაფიულად ახლოს მყოფ სხვა ქვეყნებთან შეკრან რაც შეიძლება მომგებიანი ეკონომიკური კავშირი და ასეანიც ამის კარგი მაგალითია. გეოგრაფიისგან არის განპირობებული, რომ ქვეყნები გლობალურ დონზე უფრო სწრაფად რეგიონულ დონეზე უახლოვდებიან ერთმანეთს. დღევანდელ მსოფლიოში შეიქმნა ისეთი ისეთი ეკონომიკური მოთამაშეები, რომლებიც ცალკეულად წარმოადგენენ მსოფლიო ეკონომიკაში ცვლილებების შემტანს და განვითარების მიმართულების ჩამომყალიბებელს. ასეთებად უკვე ჩამოყალიბებული არიან, აშშ, ევროკავშირი და ჩინეთი, ასეანის საბოლოო მიზანსაც ეს წარმოადგენს, მაგალითად აღებული არის ევროკავშირი, რომლის მსგავსიც უნდა გახდეს ასეანი.

ასეანის წევრი ქვეყნები მართალია, თვისებრივად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ, ასეანის გეოეკონომიკური სტრატეგია შეგვიძლია დავახასიათოთ მოკლედ, რაც ასენის ეკონომიკური საყრდენის მთავარი აზრიც არის, ასეანი როგორც ერთიანი ბაზარი და საწარმოო ბაზა. რაც გულისხმობს ასეანის ყველა

წევრის ეკონომიკის უნიფიცირებას და ერთიანი ჩარჩოს ქვეშ გაერთიანებას, საერთო ეკონომიკური წესრიგის მეშვეობით. ეს კი, პირველრიგში გულისხმობს საქონლის, ინვესტიციების, მომსახურებების, კაპიტალის და მუშახელის თავისუფალ გადაადგილებას მთლიანი ორგანიზაციის მასშტაბით. ასეანის ერთიანი ბაზრის და საწარმოო ბაზის კონცეფციას აქვს ორი დამატებითი კომპონენტი, სახელდობრ ინტეგრაციის პრიორიტეტული სექტორები და კვება, სოფლის მეურნეობა - მეტყევეობის კომპონენტები. (ASEAN Moves Forward to Build a Single Market* Commentary by Ong Keng Yong for the Asian Wall Street Journal, 2003)

ინტეგრაციის პრიორიტეტული სექტორები, შეირჩა იმ მიზნით, რომ მოცემულ დარგების განვითარება წარმოადგენს გადამწყვეტს ასეანის წევრი ქვეყნებისათვის, რომლებზეც შემდგომში დაშენებულ უნდა იქნეს ორგანიზაციის სამომავლო განვითარება, ეს დარგები წარმოადგენს, ორგანიზაციის საყრდენს.

სულ შერჩეულ იქნა 11, ინტეგრციის პრიორიტეტული სექტორი. რომელთა შორის პირველი არის სოფლის მეურნეობაზე დაფუძნებული პროდუქცია. საბოლოო მიზანას კი წარმოადგენს, მთლიანი ასეანის მასშტაბით სოფლის მეურნეობაზე დაფუძნებული პროდუქციის, ერთიანი მარკირების და აღრიცხივს სისტემა რაც მთლიან სექტორს სისტემურ ინტეგრციემდე მიიყვანს.

ინტეგრაციის პრიორიტეტული სექტორებიდან მეორე არის, საჰაერო ნავიგაცია, რაც გულისხმობს მთლიანი ასენის მასშტაბით ერთნარი სამგზავრო და კონტროლის წესების დაწესებას, ასეანის ყველა მოქალაქისათვის.

მესამე სექტორი არის საავტომობილო წარმოება, მოცემულ სფეროში ინტეგრაცია გულისხმობს წარმოების ერთნაირი სტანდარტების დანერგვას მთლიანი ასეანის მასშტაბით, ასევე მოცემულ სექტორში წარმოშიბის შესახებ ერთიანი წესების დანერგვა.

მეოთხე სექტორი არის ელეტრონული ასეანი (e-ASEAN). რაც გულისმობს, ასეანის წევრი ქვეყნების დაახლოებას და საბოლოოდ უნიფიცირებული წესებით, ინფორმაციული ტექნოლოგიების და ტელეკომუნიკაციის სფეროების რეგულირებას,

ციფრული და მობილური ტექნოლოგიებით რეგიონის სრულ დაფარვას და ელეტრონული საკომუნიკაციო საშუალებების მაქსიმალურად ხელმისაწვდომობას.

მეხუთე სექტორი არის ელექტრონიკის წარმოება, მოცემულ სექტორში ინტეგრაცია გულისხმობს, წარმოების და პროდუქციის მარკირების ერთიანი სტანდარტების შექმნას.

მეექვსე სექტორი არის მეთევზეობა. მეთევზეობის სექტორში ინტეგრაცია გულისხმობს, მეთევზეობის საერთო წესების შემუშავებას, ასევე ერთიანი სარეწაო ლეგალური ბაზის შექმნას და ასევე პროდუქციის მარკირების ერთიანი სისტემის შექმნას.

ინტეგრაციის პრიორიტეტული სექტორებიდან მეშვიდე არის, ჯანდაცვის სექტორი. ჯანდაცვის სექტორში ინტეგრაცია, გულისხმობს მედიკამენტების მარკირების საერთო სისტემის შემუშავებას, ასეანის წევრ ქვეყნებს შორის მედიკამენტებით ვაჭრობის ერთიანი ლეგალური ბაზის შექმნას.

მერვე სექტორი არის, რეზინის წაროებაზე დაფუძნებული დარგების შესახებ. მოცმეულ სექტორში მიზანი არის, შეიქმნას წარმოებული პროდუქციის მარკირების ერთიანი სისტემა და ერთიანი ლეგალური ბაზა, ასევე ნაწარმის ასეანის წევრ ქვეყნებს შორის ექსპორტის დროს ერთიანი საბაჟო სისტემით დამუშავება.

პრიორიტეტული ინტეგრაციის სექტორებს შორის მეცხრე არის, ტექსტილის და ტანსაცმლის წარმოება, აქაც მთავარი მიზანია ერთიანი საწარმოო წესების, პროდუქციის მარკირების და განბაჟების ერთიანი სისტემის შექმნა.

მეათე სექტორი არის ტურიზმი. ასეანის მიზანია, მოცემულ სექტორშიც შეიქმნას დარგის უნიფიცირებული რეგულირების სისტემა, ტურისტულ ნაკადების მიღების და მომსახურების ერთიანი რეგულაციები და მსგავი წესები ტურისტებისთვის საზღვრის კვეთის დროს.

მეთერმეტე სექტორი არის, ხის წარმოებაზე დაფუძნებული ნაწარმი. ამ დარგში ინტეგრაცია გულისხმობს, ნაწარმის უნფიცირებული მარკირების სიტემის დანერგვას და ექსპორტისა და გაყიდვაში ჩაშვების საერთო წესებს, ასევე ხარისხის კონტროლისა

და საბაჟო კონტროლის ერთიან სისტემას (ASEAN Framework Agreement for the Integration of Priority Sectors Vientiane, 29th November 2004, 2012).

ზემოთ ჩამოთვლილი სექტორების, პრიორიტეტებად დასახვა დაფუძნებულია სრულიად რეალურ ფაქტებზე და იმ მოცმეულობაზე რაც ასეანის წევრ ქვეყნებს გააჩნიათ. ასევე მოცემული სექტორები სასიცოცხლოდ აუცილებელია ეკონომიკის სრულყოფილი მუშაობისათვის. სექტორებში ინტეგრაციის პროცესის კოორდინაცია გადანაწილდა ასეანის წევრ ქვეყნებს შორის, იმის მიხედვით, თუ რომელ სექტორში ჰქონდათ მათ შედარებითი უპირატესობა. ინდონეზია კოორდინირებას უწევს ხის წარმოებაზე დაფუძნებულ სექტორს და საავტომობილო წარმოებას. მალაიზია კოორდიაციას უწევს რეზინის წარმოების და ტექსტილისა და ტანსაცმლის წარმოების სექტორებს. მიანმარი სოფლის მეურნეობაზე დაფუძნებულ წარმოების სექტორს და მეთევზეობის სექტორს. ფილიპინები ელექტორნული პროდუქციის წარმოების სექტორს. სინგაპურის კოორდინაციის ქვეშ არის, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ასევე ჯანდაცვის სექტორი. ტაილანდი კი, კოორიდნაციას უწევს საჰაერო ნავიგაციისა და ტურიზმის სექტორს.

2.2 ასეანის წევრი ქვეყნების გეოეკონომიკური სტრატეგიები

ვიეტნამი. ვიეტნამის ომის და ქვეყნის გაერთიანების შემდეგ პირველი პრობლემა იყო, იდეოლოგიური სხვაობა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, ჩრდილოურ სოცილისტურ ეკონომიკას პირისპირ ედგა სამხრეთული ლიბერალური ეკონომიკა, ამ ყველაფრის გამო 1986 წელს გადაწყდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის წამოწყება რასაც დოი მოი ეწოდა რაც განახლებას, რეფორმირებას ნიშნავს, ეკონომიკა იქნა ლიბარალიზირებული და ქვეყანა უცხოური ინვეტიციებისთვი გაღებული, 1995 წელს ქვეყანა გახდა ,,ასეანის'' წევრი, ხოლო 2007 მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანდა, ეკონომიკური თავისუფლება და მოსახლეობის ზრდის მდგრადი ტემპი გახდა ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური აღმავლობის მიზეზი. ქვეყანა მსოფლიოში ნომერ 1 პილპილის ნომერ 2 ბრინჯის და ყავის ექსპორტიორია, ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს

ჩაის, კაუჩუკს და სიმინდს, ქვეყანა სრულიად აკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებას საკვებზე, სოფლის მეურნეობაში ჩართულია დასაქმებულთა 48 % და ისინი მშპ-ს 15 % ქმნიან, ინდუსტრია ქმნის მშპ- 32,7 %, მასში წამყვანი ადგილი უკავია, მოპოვებით, გადამუშავებით მრეწველობას და ტექსტილის წარმოებას, მოიპოვებენ ბოქსიტებს (2009 წ აღმოაჩინეს მსოფლიოში სიდიდით მეორე საბადო), ქვანხშირს, თუთიას, სპილენძს, ქრომს, რკინას, ტიტანს და მანგანუმს, ტექსტილის წარმოების ცენტრია საიგონი და დონგ ნაის პროვინცია. მომსახურების სფერო ქვეყანაში გამოიმუშვებს მშპ-ს 41,3 % დასაქმებულთა უმეტესობა მსახურობს, კომუმიკაციების და ტურიზმის სფეროში (Vietnam Economic Overview, 2018).

ქვეყნის ეკონომიკა პოზიტიურ ტრენდს უჩვენებს 1990 წლიდან მოყოლებული, ზრდა არასოდეს ყოფილა 5 % ნაკლები, 1985 წლიდან 2011 წლამდე მშპ 5-ჯერ გაიზარდა, ქვეყანას ექსპორტზე გააქ წარმოებული ნავთობპროდუქტების 10,6 % , სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 21 % და ტექსტილის 16 %, მართალია ბოლო წლებში პირდაპირი უცხოური ინვეტიციები 7 % შემცირდა და ასევე ზოგიერთ კომპანიას წარმოება სხვაგან გადააქ მაგრამ ქვეყანა მაინც ინარჩუნებს ზრდის ტემპს, რისი გასაღებიც არის ის, რომ ხელისუფლება აკონტროლებს ეკონომიკის 40 %, რაშიც ის იყენებს სახელმწიფო წარმოებებს, რომელთა უმრავლესობა ქალაქებშია თავმოყრილი, ხელისუფლება ამით ნაკლებად უშვებს თავისუფალ კონკურენციას რითაც ვიეტნამის ეკონომიკური მოდელი განსხვავდება ჩინეთისაგან, სადაც ხელისუფლებამ პირიქით უმეტესი სახელმწიფო წარმოებების პრივატიზაცია ჩაატარა. (Vietnam: Ho Chi Minh und Marktwirtschaft - Reisebericht, 2017). ვიეტნამის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მიზნების პირველი საფრთხე ჩინეთია, მართალია ის ნომერ პირველი სავაჭრო პარტიორია ვიეტნამის და 1 მლნ ჩინელი ცხოვრობს ვიეტნამის ტერიტორიაზე, მაგრამ კონფლიქტი მათ შორის მაინც არსებობს, კონფლიქტის მიზეზებია ტოპონიმიკა და რესურსები, სამხრეთ ჩინეთის ზღვას ვიეტნამელები აღმოსავლეთის ზღვას ეძახიან, რესურსები კი სწორედ ამ ზღვაშია განთავსებული და ორივე საკუთრად მიიჩნევს, ზღვაზე კონტროლის დაწესებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს , სპრეტლის და პარაცელის კუნძულებზე, რომელბიდან ვიეტნამელები 1974 წელს გამოდევნეს ჩინელებმა თუმცა ზოგიერთი მათ მაინც შეინარჩუნეს, ამავე დროს კუნძულებზე

გამოჩდნენ ტაივანელები, მალაიზიელები, ბრუნეილები და ფილიპინელებიც, რომელთაც ასევე მსგავსი პრეტენზიები აქვთ. 2012 წელს ჩინურმა კონცერნმა სინუკმა ძებნა-მოპოვების სამუშაოები დაიწყო, იმ ტერიტორიაზე რომელიც ვიეტნამის ეკონომიკურ ზონაში შედის. ჩინელთა დაინტერესების ერთ-ერთი მიზეზი ასევე არის უსაფრთხო მიმოსვლის უზრუნველყოფა აფრიკისა და სპარსეთის ყურისკენ. ერთის მხრივ ჩინეთი, რომელიც მთავარი ინვესტორია ვიეტნამის ეკონომიკაში, ამით ის ეხმარება, მას, რომ ეკონომიკა შედარებით სწრაფი ტემპით განავითაროს, ხოლოს მეორეს მხრივ ჩინეთი ამ ინვესტიციებს, იყენებს ეკონომიკური ზეწოლის ბერკეტად და მათით მანიპულირებს, რომ ვიეტნამში დაძაბულობა შეიტანოს. შედეგად ჩინეთი, ფაქტიურად აკონტოროლებს ვიეტნამის ეკონომიკას და შესაბამისად ქვყენის სიძლიერესაც, მაგრამ ამ ეკონომიკური დამოკიდებულების აღმოსაფხვრელად, ვიეტნამის მთვარი გეგმაც არის, მისი ასეანში მეტი ინტეგრაცია და კიდევ უფრო ინტეგირირებული და დივერსიფიცრებული ეკონომიკის მეშვეობით გაუძლოს ჩინეთის დაწოლას (Vietnam's evolving role in ASEAN: From adjusting to advocating, 2016).

მალაიზია. მალაიზია ინდუსტრიული სახლმწიფოა, რომელიც სწრაფად გადადის პოსტინდუსტრულ ეტაპზე, ქვეყნის ამჟამინდელი მთავრობის გათვილით 2015 წლისთვის ქვეყანა მაღალ შემოსავლიანი ქვეყნების რიგში უნდა მდგარიყო, რისი შესრულებაც მათ ნამდვილად შეძლეს, 2017 წლის მონაცემებით ერთ ადამიანზე შემოსავალი ქვეყანაში $ 28,000 ტოლია. ქვეყნის ეკონომიკაში 36,9 % ინდუსტრიის მიერ გამომუშავდება, ინდუსტრიაში წამყვანი დარგები გადამამუშავებელი მრეწველობა და მსუბუქი მრეწველობაა, ინდუსტრიაში ელექტონიკა კაპიტალის 30 % გამოიმუშავებს, რომლის დიდი წილიც მოდის, ინტელზე, ტოშიბაზე, ალკატელზე, მოტოროლაზე და ერიქსონზე, რომელთაც თავიანთი საწარმეობი აქვთ აქ გახსნილი. მნიშვნელოვანი საექსპორტო საქონელია ასევე, კაუჩუკი, მერქანი, კაკაო, პილპილი და ისეთი სათბობენერგეტიკული რესურსი როგორიც არის, ნავთობი და გაზი. BP - ის 2012 წლის სტატისტიკური მონაცმებიდან გამომდინარე, მალაიზია ამჯამად ფლობს, მსოფლიო ნავთობის მარაგის 0,4 % , ხოლო მსოფლიოს ბუნებრივი გაზის მარაგის 1,3 %, თუკი მოპოვების არსებული დონე სენარჩუნდება ნავთობის მარაგი კიდევ 22 წელი იქნება საკმარისი, ხოლო ბუნებრივი აირის მარაგი კი 36 წელი, მთელი ეს რესურსი სახელმწიფო

კომპანიის პეტრონასის მიერ კონტორლდება, პეტრონასის შენატანი სახელმწიფოშემოსავლების დაახლოებით 40 % არის და ის ერთგვარი მალაიზიური გაზპრომია. მალაიზიის ეკონომიკა აზიის 1997 - 1998 წლების კრიზისის შემდგომ მუდმივად ზრდას აფიქსირებს და მან ასევე ადვილად გადაიტანა მსოფლიოს 2008 წლის ეკონომიკური კრიზისი (cia.gov, 2018).

ქვეყანა ეკონომიკის გაძლიერებისთვის ანხორციელებს, ეკონომიკური პროგრამებს რაც გულისხმობს ეკონომიკურად ჩამორჩენილი რეგიონებითვის მაპროფილებელი დარგების გამოძებნას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ქვეყნის შიგნით რეგიონული ეკონომიკური უდაბნოების გაჩენა რამაც შეიძლება მომავალში სოცილურ დაძაბულობა გამოიწვიოს. ეს პროგრამები კი არის, ,, აღმოსავლეთ სანაპიროს ეკონომიკური რეგიონი'' (ECER), ,,ისკანდარ მალაიზია'', ,, ჩრდილოეთის კორიდორი ეკონომიკური რეგიონი'' (NCER), ,, საბაჰის განვითარების კორიდორი'' (SDC), ,, განახლებადი ენერგიის სარავაკის კორიდორი'' (SCORE). ზოგადად შეიძლება იტქვას რომ მალაიზიას პრობლემბი აქვს, საბაჰის და სარავაკის განვიტარებაში, ეს ტერიტორია იქცა ერთგვარ რესურსულ ბაზად დანარჩენი მალაიზიისთვის.

ქვეყნის მდგრად განვითარებას ასევე უზრუნველყოფს, მისი საგარეო კავშირები, ქვეყანა არის ასეანის წევრი, თუმცა კი აქვს შიდა ორგანიზაციული პრობლემები, კერძოდ კი ის მხარს უჭერს, ტაილანდის სამხრეთში მცხოვრები მუსლიმანური უმრცირესობისთვის ფართო ავტონომიის მინიჭებას რაზეც ოფიციალური ბანგკოკი ცუდად რეაგირებს ხოლმე. სხვა მხრივ მას ორგანიზაციის წევრებთან კარგი ურთიერთობა აქვს, ის ასენის ერთ - ერთი წამყვანი სახელმწიფოა და მისი ერთ - ერთი დამარსებელია. ქვეყანას კარგი ურთიერთობა აქვს ყველა მუსლიმურ სახელმწიფოსთან და 2006 წელს იყო ისლამური კონფერენციის თავჯდომარე. აშშ სახელმწიფო მდივნის ძალისხმევით მალაიზიასთან 2006 წელს ხელი მოეწერა, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას და ანტიტერორისტულ საერთო სამოქმედო გეგმას. ფაქტია ამერიკა თავისუფალ ვაჭრობაზე ხელშეკრულებას მარტივად არავისთან აფორმებს.

საბოლოოდ როგორც ჩანს მალაიზია სამაოდ კარგად და სწრაფად ვითარდება, ქვეყნის მთავრობას იმედი აქვს მეტად განვითარების. ქვეყანა მიუხედავად ეკონომიკის

დივერსიფიკაციისა ახლაც ძლიერ არის დამოკიდებული ნავთობ დოლარებზე და ეს მდგომარეობა პროგნოზის მიხედვით აუცილებლად მალე შეიცვლება, რასაც აუცილებლად მოყვება შიდა დაპირისპირებები და ახლანდელი მმართველი ჯგუფის პოზიციების შერყევა (Wirtschaftsausblick November 2017 - Malaysia, 2017)(LIPortalDas Länder-Informations-Portal, 2017).

ლაოსი. ლაოსი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში თავისი მდებარეობის გამო ნამდვილად განსაკუთრებულ როლს თამაშობს, ის ინდო-ჩინეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილშია და 236,800 კვ/კმ ტერიტორიას ქვეყნის მოსახლეობა დაახლოებით 6,2 მლნ ადამიანს შეადგენს. ლაოსი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ყევლაზე ღარიბია და მოსახლეობის მეთხედი დღეში 2 $ ნაკლებს ხარჯავ, ამის მიუხედავად ქვეყანა ეკონომიკურ ბუმში იმყოფება, ის ნელ-ნელა ემსგავსება ინდუსტრიულ სახელმწიფოს, ყალიბდება მომხმარებლური ფსიქოლოგია და მოსახლეობა იცვლის დამოკიდებულებას გარემოსადმი. ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მდინერა მეკონგს, რომელიც ქვეყანას ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მთელს სიგრძეზე მიუყვება და უდიდესი ენერგეტიკული თუ სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი გააჩნია. ქვეყნის 40 % ტყით არის დაფარული და ისეთი ძვირფასი ჯიშების მერქნის ექსპორტი როგორიც არის ტიგი და პალისანდა ექსპორტიორებს დიდ მოგებას აძლევს თუმცა ძალიან ხშირია არალეგალური ვაჭრობის შემთხვევები. ქვეყნის დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნია ისეთ მადნეულს როგორიც არის, ოქრო, სპილენძი, თუთია და ბოქსიტები. ქვეყანა აგრარულ სახელმწიფოდ მიიჩნევა, მოსახლეობის 80 % სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, თუმცა კი სასოფლო-სამეურნეო სავარგულოების ფართობი ძალიან მცირეა და ძირითადი საწარმოო პროდუქციია ბრინჯი, სიმინდი, შაქრის ლერწამი, მანიოკი, სოიო და კაკაო, წარმოებული საკვები პროდუქტების მხოლოდ 10 % გამოდის გასაყიდად დანარჩენს თავად მწარმოებლები მოიხმარენ. ტექნიკური კულტურებიდან კი წარმოედგენილია კაუჩუკის პლანტაციები, რომლებიც რეზინის მისაღებად გამოიყენება (LIPortalDas Länder-Informations-Portal, 2017).

ქვეყანა ჯერ კიდევ კომუნისტური მთავრობის ხელში იმყოფება და იშვიათი კომუნისტური ქვეყნების რიგში შედის, ქვეყანას მართავს ლაოსის რევოლუციური სახალხო პარტია, რომელიც ხელისუფლებაშია 1975 წლიდან მოყოლებული და რომლის გაჩენასაც დიდად შეუწყო ხელი ვიეტნამმა. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ პარტიამ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება კოლექტივიზაციის პოლიტიკით დაიწყო, თუმცა 1986 წლიდან ქვეყანაში ბაზრების გახსნა გადაწყვიტეს, რამაც შესაძლებელი გახადა კერძო წარმოების წამოწყება და საზღვარგარეტული ინვესტიციების მიღება, თუმცა ამ ყველაფერს კონტროლს ჩინეთი და ვიეტნამი უწევდა და რასაც პირადი ცხოვრების კონტროლის ზრდა მოჰყვა ასევე ადგილობრივ ოპოზიციურად განწყობილ ორგანიზაციებზე გაიზარდა ზეწოლა. 2000 წელს მოხდა სახელმწიფო საწარმოების სტრუქტურული ცვლილება, ასევე ღია ფინანსური ნაკადების კონტროლის ქვეშ მოქცევა, ხოლო 2011 წელს ვიენტიენში საფონდო ბირჟის გახსნით ქვეყანა გადავიდა თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე.

რაც შეეხება იმ შედეგებს რაც თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე გადასვლამ მოიტანა. ბოლო და ყველაზე თვალსაჩინო იყო ის რომ 2013 წლის თებერვალში ქვეყანა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა. 2011 წელს ლაოსის ეკონომიკამ 8 % - იანი ზრდა დააფიქსირა, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითრების ორგანიზაციის (OECD) მონაცემების მიხედვით ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საშუალო 2013-2017 წლებში 7,4 პროცენტი იყო. რაც ასიანის ქვეყნებს შორის მოსალოდნელ ზრდაზე მეტია. ქვეყანა კარგ შედეგებს უჩვენებს ასევე ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდაში, 2001 წლიდან 2010 წლებს შორის ზრდა 310 $ -დან 1130 $ - მდე ავიდა. ლაოისის ხელისუფლების პრიორიტეტები შემდეგნაირია : ყოველწლიურად 8 % ზრდა ეკონომიკაში, ღარიბი მოსახლეობის წილის სწრაფი შემცირება, ახალგაზრდობის 100 % - თვის განათლების მიცემა და ეკონომიკური რეფორმების გაგრძელება. თუმცა, ამ რეფორმებს გვერდითი შედეგებიც მოჰყვა, რაც პირველ რიგში აისახა დაძაბულობაშ ვიეტნამურ, ჩინურ და ტაილანდურ კომპანიებთან თუ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში. ჩინურმა კომპანიებმა ინვესტირება დაიწყეს კაუჩუკის პალნტაციებში და ეს სფერო თითქმის მთლიანად ჩაიგდეს ხელში, ჩრდილოეთ ლაოსში მდებარე ქალაქი ბოტენი, რომელიც ჩინეთის საღვართან არის, 2002 წელს ჩინურ

კომპანიებს გადაეცათ და აქ თავისუფალი ეკონომიკური ზონა შეიქმნა შედეგად დღეისთვის მთელი ჩრდილოეთ ლაოსი ჩინური ეკონომიკური ზონაა ხოლო ქალაქი ბოტენი ფაქტიურად ჩინური ქალაქია მეორე მაგალითია სეპონი, რომელიც ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი სპილენძ-ოქროს საბადოა, აქ წილის 10 % -ს ფლობს სახელმწიფო კომპანია ხოლო დანარჩენი ჩინურ ,, CHINA MIN-METAL CORPORATION''-სეკუთვნის. კონცესიები გაიცემა ასევე მდინარეების ენერგიის გამოყენებაზე, დღეისათვის ქვეყანა იღებს 2500 მეგავატ ენერგიას, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემებით კი მისი 50,000 მეგავატამდე გაზრდა შეიძლება. როგორც ტრენდი უჩვენებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ენერგიის მოხმარება საშუალოდ წლიურად 7 % - ით უნდა გაიზარდოს, ასეთი პოტენციალით კი ლაოსს შეუძლია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ელექტროენრგიის უდიდესი ექსპორტიორი გახდეს, მით უმეტეს მაშინ როდესაც 2011 წელს ლაოსში წარმებული ელექტრო ენერგიის 3/4 ექსპორტზე გადიოდა, რაც იმის მანიშნებელია, რომ მომავალში ქვეყანას ელექტრო ენეერგიით უზრუნველყოფაზე პრობლემები დიდი ხნის განმავლობაში არ შეეხება და მათთვის ის ძალაინ იაფი შეიძლება იყოს.

ექსპორტზე გატანილი ენერგიის უდიდესი წილი მოდიოდა ნამ-ტენის სადგურზე, რომელიც 2010 წლიდან ამუშავდა და რომლის 40 % -ს ფრანგული ,, იდფ'' ჯგუფი ფლობს, 35 % -ს ტაილანდური კომპანია .. ეკკო'' ხოლო 25 % კი ლაოსის სახელმწიფო კომპანიას ეკუთვნის. წარმეობული ენრგიის 95 % ტაილანდში ექსპორტირდება სადაც დიდი მოთხოვნა არის. ქვეყნის განსაკუთრებულ ეკონომიკურ პარტნიორად ჩამოყალიბდა ვიეტნამი, ბილატერალური ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად ორივე ქვეყანა უდიეს მოგებას ნახულობს და მათ შორის სავაჭრო ბრუნვა 2005 - 2010 წლებშ 24 % - ით გაიზარდა. ასევე მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა ჩამოყალიბდა ტაილანდთან, ურთიერთობა განსაკუთრებით გაუმჯობესდა მონ ლტოლვილების მიერ ვაი ნამ კაო-ს ლტოლვილთა ბანაკის დატოვების და ლაოსში დაბრუნების შემდეგ, რომლებიც აქ 1975 წლის მერე იმყოფებოდნენ. განსაკუთრებით გამოირჩევა ურთეირთობა ჩინეთთან, რომელიც ყველაზე მეტ ინვესტირებას ახდენს ლაოსის ეკონომიკაში, ჩინური ფულით აშენდა ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტრუის უდიდესი ნაწილი, რითაც ორივე ქვეყანა არის დაინტერესებული, დაგეგმლია ჩინეთის ქალაქ კუნ-მინსა და ვინეტიენს შორის,

მაღალ სიჩქარიანი სარკინოგზო მაგისტრალსი მშენებლობა, რაც ჩინეთს შეართებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასთან.

საერთო ჯამში ქვეყანამ 2005 წელს 300 მლნ აშშ $ ინვესტიციის მოზიდვა მოახერხა, ხოლო 2011 წელს უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1,5 მლრდ აშშ $ - ს მიაღწია. ინვესტიციების 80 % ელექტროენერგიის წარმოებაში და სამთო მოპოვებით მრეწველობაშ იქნა ჩადებული.

მიუხედავად ამ ზომის პოტენციალისა და განვითარებისა ქვეყენას აწუხებს ისეთი პრობლემა როგორიცაა კორუფცია, ,, TRANSPARENCY INTERNATIONAL'' 2017 წლის მონაცმების მიხედვით, კორუმპირებული ქვეყნების სიაში ლაოსი 180 ქვეყნიდან 135 ადგილზე იყო. კორუფციის გარდა ქვეყნას დიდი პრობლემა აქვს ვაჭრობის სალდოსთან მიმართბით, იმპორტირებული საქონლის ფასი ორმააგდა აჭარბებს ექსპორტირებულს, დამატებითი პრობლემაა დიდი განსხვავება დედაქალაქ ვიენტიენსა და დანარჩენ ქვეყანას შორის, რაც შეიძლება სოციალური დაძაბულობის საბაბი გახდეს ან ურბანიზაციის პრობელმები წარმოქმნას. ქვეყანა ისევ იმყოფება ნაკლებ განვითარებული ქვეყნების რეიტინგში და ისევ ,,მეოთხე მსოფლიოს'' ნაწილია (CORRUPTION PERCEPTIONS INDEX 2017, 2017).

ყველა ამ პრობლემის მიუხედავად რაც ბაზრის ლიბერალიზაციამ მოიტანა ფაქტია რო ქვეყანა განვითარების გზას დაადგა, შეიცვალა ეკონომიკური მდგომარეობა და სახელმწიფო ნელ-ნელა იძენს მსოფლიო მნიშვნელობის ქვეყნის სტატუს, მით უმეტეს იმ დროს როდესაც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების გაერთიანება ასეანი კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას აპირებს რაც აუცილებლად თავისუფალ ვაჭრობაზე იქნება დაფუძნებული და მეტი ლიბერალიზაცია მეტი მოგების გარანტია იქნება, თავისუფალი ვაჭრობა ასევე აუცილებლად გახსნის კულტურულ არხებსაც რაც რეგიონის და მსოფლიოს ჰომოგენიზაცია გამოიწვევს, ყველაფერი ეს კი თავისუფალი დემოკრატიის გარანტია იქნება (Exportbericht Laos , 2018).

ინდონეზია. ინდონეზიისთვის მნიშვნელოვანი იყო სწრაფი ეკონომიკური აღმავლობა და 2000 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ ადამიანზე 857 დოლარიდან 2016 წლისათვის 3603 დოლარამდე გაიზარდა. ინდონეზიის მთლიანი შიდა პროდუქტი

მსყიდველიანობითი უნარის პარიტეტის მიხედვით მერვე ადგილზე დგას 2016 წლის მსოფლიო ბანკის მონაცემებით.ინდონეზიის ეკონომიკა მიყვება განვითარების 20 წლიან გეგმას, მიმდინარე გეგმა მოიცავს 2005-2025 წლებს, რომელიც თავის მხრივ 5 წლიან მოკლე ვადიან გეგმებად იყოფა, თითოეულ 5 წლიან გეგმას განვითარების საკუთარი პრიორიტეტები აქვს. განვითარების მიმდინარე გეგმა ფოკუსირებული არის ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სოციალური პროგრამების მხარდაჭერაზე. ინდონეზიის ეკონომიკისათვის მთავრი გამოწვევა არის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანებისათვის ცხოვრების შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა. ქვეყნის მოსახლეობის 40 პროცენტი სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობს (The World Bank In Indonesia, 2018).იმისათვის რომ ინდონეზიამ მოცემულ პრობლემებს თავი დააღწიოს საჭიროა რომ ქვეყანამ მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები, ვინაიდან ქვეყანას საკუთარი კაპიტალი ისეთი რაოდენობიტ არ გააჩნია, რომ უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დაფინანსება, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მხრივ ქვეყნის მთავრობა 2015 წლიდან ახორციელებს ეკონომიკის სტიმულირების პროცესებს; როგორიც არის ინდუსტრიაში კონკურენციის ზრდა რეგულაციების შემცირებით, ბიუროკრატიის შემცირება, ბიზნესის სამართებლივი დაცვის უფრო მაღალი სტანდარტები, ექსპორტიორებისათვის გადასახადების შემცირება, დიდი რაოდენობის მუშახელის დამსაქმებელი ინდუსტრიული კომპანიებისათვის ელექტოენერგიაზე ტარიფის შემცირება, ინდუსტრიულ დარგებში ინვესტირებისა და ლიცენზირების გამარტივებული პროცედურები, დასაქმებულთათვის ხელფასების ზრდის წინასწარ ფიქსირებული ფორმულა, მუშებისათვის საშემოსავლო გადასახადის შემცირება ინდუსტრიის იმ დარგებში, რომელიც მაღალ შრომატევადია, სახელმწიფო და კერძო საფოსტო კომპანიებს შორის ფასების განსხვავების აღმოფხვრა, დაბალი გადასახადი უძრავ ქონებაზე, რომელიც ადგილობრივი უძრავი ქონების საინვესტიციო ფონდების მიერ იქნა შეძენილი, საბაჟო წესების ჰარმონიზაცია მტელი ქვეყნის მასშტაბით, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის დაცვის იგივე პაკეტის შემოტანა, რაც არსებობს კორპორაციებისათვის; ეროვნული დონის საგადახდო სისტემის შემოტანა, ელექტრონული კომერციის დანერგვა, სატრანსპორტო სფეროში დაზღვევისა და

მომსახურების ჰარმონიზაცია, ლოჯისტიკის სერვისების ჰარმონიზაცია (Indonesia's 16th Economic Policy Package to Focus on Investment, 2017).

ინდონეზიის ეკონომიკისათვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ქვეყნის გეოგრაფიულად რამდენიმე კუნძულზე განფენილობა, რაც ხელს უშლის სწრაფ კომუნიკაციებს და პროდუქციის მიწოდებას ბაზრებზე, ქვეყნის ასეთი გეოგრაფია მოითხოვს საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის მაღალ დონეზე განვითარებას; რაც არ არის ქვეყნისათვის იაფი.

ამ ქვეყანას მომავალში მოუწევს იმოქმედოს, როგორც ასეანის წამყვანმა ეკონომიკამ, შეინარჩუნოს ორგანიზაციის სტრუქტურა და დაიცვას საკუთარი ეკონომიკური ინტერესები ჩინეთისა და ინდოეთის ეკონომიკურ ინტერესებთან შეჯახების დროს. ასეანი თავიდანვე ინდონეზიის წინამძღოლობით შეიქმნა და ორგანიზაცია ახლა წარმოადგენს ინდონეზიის ეკონომიკის განვითარებისათვის მთავარ ხელშემწყობს, შესაბამისად ინდონეზიისათვის ორგანისაციის არსებობა მთავარი გეოეკონომიკური ინტერესია (A simple review on Indonesian Geoeconomics, 2014).

ტაილანდი. ტაილანდი ასეანის ქვეყნებს შორის ერთ-ერთი კარგად განვითარებული ქვეყანაა, თუმცა 2000 წლიდან მოყოლებული ქვეყნის ეკონომიკური ზრდა შემცირდა, რაც განპირობებული იყო ქვეყანაში არსებული პოლიტიკური დაპირისპირებების გამო, თუმცა 2017 წლიდან ქვეყნის ეკონომიკა დაუბრუნდა განვითარების სწრაფ ტემპებს, ვინაიდან მთავრობამ, რომელიც დაკომპლექტებულა სამხედროებით შეძლო და უზრუნველყო ქვეყანაში სტაბილურობა (Thailand Expected to Post 4.1% Growth in 2018 - Best Economic Performance Since 2012, 2018).

ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობა ძირითადად განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა:გაიზარდა მოხმარება შიდა ბაზარზე და მოთხოვნა სამოხმარებლო საქონელზე, რაც გამოწვეულია მომხმარებელთა შორის შიშის ფაქტორის შემცირებით და მოხმარებამ 2017 წლის მსოფლიო ბანკის მონაცემებით მიაღწია მთლიანი შიდა პროდუქტის 50 პროცენტს, ასევე 7,5 პროცენტით გაიზარდა ექსპორტიდან და ტურიზმიდან შემოსავლები; ხოლო იმპორტი გაიზარდა 6,5 პროცენტით. ქვეყნის ეკონომიკისთვის ასევე მნიშვნელოვანი იქნება ტრანსპორტირების სამოქმედო გეგმის

განხორციელება, რაც გულისხმობს ქვეყნის მასშტაბით არსებული სატრანსპორტო კომუნიკაციების რეაბილიტაციას და ახლების დამატებას, რისთვისაც საჭირო ინვესტიციების განხორციელება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იქნება 2018-2019 წლებში ეკონომიკური ზრდის 4 პროცენტიან ბარიერს ზემოთ შესანარჩუნებლად.

ტაილანდის გრძელვადიანი განვითარების გეგმები დაკავშირებული არის ინოვაციების მხარდაჭერასთან. ქვეყნისთვის განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულებები არის საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება, სამუშაო ძალის განათლების ამაღლება, სახელმწიფო სერვისების ლიბერალიზაცია, ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვა და კონკურენციის პოლიტიკის გაუმჯობესება.

ტაილანდის ეკონომიკური განვითარებისათვის ორი მთავარი გამოწვევა არსებობს, ესენია: არასტაბილური პოლიტიკური ელიტა და მოსახლეობის დაბერება, რომლის შედეგებიც 15-20 წლიან პერსპექტივაში ეკონომიკის მსგავსი განვითარების შემთხვევაში მნიშვნელოვნად დასცემს ცხოვრების დონეს ქვეყანაში (Thailand Economic Monitor - April 2018: Beyond the Innovation Paradox, 2018).

ტაილანდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი არის ასეანის წევრობა, რადგან ქვეყნის ექსპორტის 26,4 პროცენტი ასეანის წევრ ქვეყნებზე მოდის, ხოლო იმპორტის 19,8 პროცენტი 2016 წლის ეკონომიკური ობსერვატორიის მონაცემების მიხედვით. ტაილანდის ეკონომიკური სტაბილურობისათვის მნიშვნელოვანია ასეანის წევრი ქვეყნების განვითარებაც, ვინაიდან როგორც სტატისტიკიდან ჩანს მჭიდროდ არის დაკავშირებული ორგანიზაციასთან ეკონომიკურად და ორგანიზაციაში შექმნილი ურთიერთ მომგებიანი ეკონომიკური კავშირებით ქვეყანა კარგად სარგებლობს; ამავე დროს მისი წევრობა ორგანიზაციაში იცავს მას სხვა დიდი ეკონომიკური მოთამაშეების გავლენისაგან და უზრუნველყოფს გარანტირებულ ბაზარს ქვეყანაში წარმოებული პროდუქციისათვის (Country Profile - Thailand, 2016).

ფილიპინები. ასეანის ქვეყნებს შორის 2016-2017 წლებს შორის უფრო მაღალი ეკნომიკური ზრდა მხოლოდ ვიეტნამმა აჩვენა, ხოლო ფილიპინების მაჩვენებელი ამ წლებში შესაბამისად 6,9 და 6,7 პროცენტით გაიზარდა მსოფლიო ბანკის მონაცემებით. ქვეყნის ეკონომიკაში ზრდის ასეთი ტემპები გამოწვეული იყო ექსპორტის სწრაფი

ზრდით, სშუალო ვადიან პერსპექტივაში ქვეყნის ეკონომიკური ზრდა პოზიტიურად ფასდება და წინასწარი შეფასებით 2018-2019-2020 წლებში ქვეყნის ეკონომიკური ზრდა საშუალოდ 6,7 პროცენტი უნდა იყოს.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის ძირითადი რისკები მასშივე იძებნება, პირველი არის სიღარიბის დონე, ქვეყანაში მოსახლეობის 21,7 პროცენტი სიღარიბის ზღვარზეა, რაც იმას ნიშნავს რომ ისინი დღეში 3,2 დოლარზე ნაკლებს ხარჯავენ. თუმცა ამ მხრივ სწრაფად მიმდინარეობს სიღრიბის შემცირება და 2015 წლის 27 პროცენტიანი მაჩვენებლიდან დღევანდელ მაჩვენებლამდე დაეცა. სიღარიბის შემცირების ასეთი სწრაფი ტემპი განპირობებულია იმით რომ ყოველწლიურად მილიონზე მეტი ფილიპინელი გადადის სოფლის მეურნეობიდან ეკონომიკის სხვა დარგებში და მაღალი არის ურბანიზაციის ტემპებიც.

ეკონომიკის ასეთი სწრაფი ზრდა შეიცავს კიდევ ერთ რისკს, რაც გამოიხატება ქვეყნის ეკონომიკის გადახურების საფრთხეში, რაც ნიშნავს იმას რომ ქვეყნის ხელისუფლებამ შეიძლება ვერ შეძლოს ეკონომიკის ასეთი სწრაფი ზრდის პირობებში მისი კონტროლი; რაც შეეხება ძირითადად საგადასახადო სფეროს და შავი ეკონომიკის განვითარებას.

აღნიშნული რისკების აღმოსაფხვრელად საჭირო არის რომ ქვეყანამ სწრაფად მოახდინოს ფისკალური პოლიტიკის რეფორმირება და ბიზნესის რეგისტრაციის პროცესების გამარტივება და შექმნას, შეიმუშავოს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ნაკლებად უბიძგებს დაურეგისტრირებელი ბიზნესის ფლობისკენ.

ქვეყნის ეკონომიკის სიმდგრადისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მაღალ ხარისხიანი სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ქსელის შექმნას; ყველაფერ ამის შესრულებით ფილიპინები კვლავ დარჩება ინვესტორებისათვის მიმზიდველ ქვეყნად, რაც მისი სწრაფი ეკონომიკური განვითარების გარანტია იქნება (Philippines Economic Update: Investing in the Future, 2018)(2018 economic outlook: How PH can sustain momentum, 2018).

სინგაპური. ყველაზე ადრე ზემოთაღნიშნული დაიწყეს სინგაპურში სადაც 1965-1970 წლებში დაიწყო ეკონომიკის გახსნა, ამას ხელი შეუწყო ასევე მისმა კარგმა მდებარეობამ, სწორედ მდებარეობამ გამოიწვია მოთხოვნო ეკონომიკის გახსნისა რადგან უცხოელები დიდად იყვნენ დაინტერესბული ასეთი მდებარეობით, ქვეყანამ თავიდან დაიწყო ტექსტილის წარმეობის განვითრებით და ამჟამად უკვე ასულია მაღალტექნოლოგიურ წარმოებაზე, რომელიც 1990-იან წლებში იღებს სათავეს, ქვეყანაში მოქმედებს პროგრამა რომელიც ითვალისწინებს ტელემატიკური საზოგადოების შექმნას 2020 წლისთვის, რაც ითვალისწინებს, ტელეკომუნიკაციების და ინფორმატიკის უმაღლეს დონეზე განვითარებას და ბიზნესში ისეთი დარგების განვითრებისთვის ხელშეწყობა როგორიცაა, ელექტრონული კომერცია, შედეგად ქვეყნამ ასევე უნდა მიიღოს მმართველობაში ელექტრონული სისტემების ჩართულობის მაღალი დონე (e-democracy), ქვეყანა ბოლო წლების ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგებში მუდამ ხუთეულში ხვდება, თუმცა ქვეყნის ეკონომიკაში დიდ როლს მაინც სატრანსპორტო მდებარეობა თამაშობს, სწორედ მისი მდებარეობის გამოა რომ ქვეყანაში არსებულ ავტორიტარულ მმართველობას საზღვარგარეთიდან დიდი ზეწოლა არ აქვს (Trade Policy Review: Singapore, 2017).

მიანმარი. მიანმარის გეოეკონომიკური სტრატეგია პირველ რიგში მიმართულია საკუთარი მოსახლეობის ცხოვრების პირობების საშუალო დონესთან მიახლოებისთვის, რასაც ხელს უშლის შიდა კონფლიქტები, ქვეყანა სამხედრო ხუნტის ჩამოგდების შემდეგ დაადგა დემოკრატიზაციის გზაზე, გაიხსნა ბაზრები უცხოელი ინვესტორებისთვის განსაკუთრებით აქტიურობენ, ჩინეთი და ინდოეთი, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მიანმარის ტერიტორიაზე არსებული ნავთობისა და გაზის საბადოებით (Aid, Trade and Development Indicators for Myanmar, 2017)

ბრუნეი.ბრუნეის გეოკეონომიკური სტრატეგია მიმართულია არსებული კეთილდღეობის შენარჩუნებისკენ, ქვეყანა ცდილობს შეამციროს ნავთობის ექსპორტზე დამოკიდებულება, ასევე ცდილობს მოიძიოს ახალი საბადოები, რის გამოც სამხრეთ ჩინეთის ზღვაში დაპირისპირებაშია ჩაბმული სპრადლის კუნძულების გამო, მათ შორის ასეანის წევრ სახელმწიფოებთან. 1997 წელს მან დიდ ბრიტანეთთან გააფორმა სამხედრო

დახმარების ხელშეკრულება რითაც უზრუნველყო საკუთარი უსაფრთხოება. ბრუნეის უსაფრთხოებით ასევე დიდად არიან დაინტერესებული აშშ, იაპონია და სამხრეთ კორეა (TRADE POLICY REVIEW: BRUNEI DARUSSALAM, 2015).

კამბოჯა. საკუთარი გეოგრაფიული მდებარეობა, კამბოჯას განვითრების კარგ შესაძლებლობას აძლევს, ასევე მისი ეკონომიკური განვითარების დონე ბევრ ინვესტორს იზიდავს, კამბოჯა ჯერ კიდევ საშუალოზე დაბალშემოსავლიანი ქვეყნების რიცხვს მიეკუთცნება, რაც იაფი მუშახელით დაინტერესებულ ინვესტორებს იზიდავს, ასევე მისი ასეანში წევრობა და ასეანის მიერ გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები კარგად ეხმარება მას. შედეგად ბოლო დეკადის განმავლობაში ქვეყანა მუდმივად ეკონომიკურ ზრდას უჩვენებს, რომელიც უმეტესად 5 პროცენტზე ზემოთ არის (Cambodia - Economics, 2017).

ამჟამად კამბოჯის ეკონომიკაში, ძირითად შემოსავლის შემომტანი ტექსტილის წარმობაა, რაც სწორედ მისმა ზემოთ ნახსენებმა შედარებითმა უპირატესობამ განაპირობა. კიდევ უფრო მეტი ხალხი გადადის სოფლის მეურნეობიდან მოსმახურების და ინდუსტრიის სფეროში, ქვეყნა ექსპორტზე არის ორიენტირებული და ექსპორტის ნახევარზე მეტი ტექსტილის ნაწარმი არის. საშუალო ვადიან პერსპექტივაში მსოფლიო ბანკის ექსპერტები კამბოჯის ეკონომიკურ განვიტარებას პოზიტირუად აფასებენ და ეკონომიკის ზრდას მოელიან (Cambodia Economic Update April 2017: Staying Competitive through Improving Productivity, 2017).

კამბოჯამ თავისი გეოეკონომიკური განვითარება შემდგომ ფაქტორებზე დაამყარა, ერთი ეს არის მისი გეგორფიული მდებარეობა, მეორე იაფი მუშა ხელი და მესამე ასეანის წევრობა. პირველი მას კარგი კომუნიკაციების განვითარებას საშუალებას აძლევს, მეორე დიდი რაოდენობით ინვესტიციების მოზიდვაში ეხმარება, ხოლო მესამე მას გასაღების ბაზრებით უზრუნველყოფს.

2.3 ასეანის წევრი ქვეყნების საერთაშორისო ეკონომიკაში ჩართულობის პრობლემა

ასეანის წევრი სახელმწიფოების საერთაშორისო, ეკონომიკაში ჩართვის პრობლემის განხილვა უნდა დავიწყოთ ასენის წევრი ქვეყნების გოლობალიზაციის და ეკონომიკური გლობალიზაციის დონით, რომლის შესახებაც ინფორმაციას გვაწვდის და რომელიც გამოითვლება შვეიცარიის ეკონომიკური ინსტიტუტის მიერ და რომელიც გვიჩვენებს ქვეყნების ჩართულობას საერთაშორისო პროცესებში და მათი ეკონომიკების დანარჩენ ქვეყნებთან ინტეგრაციის დონე. გლობალიზაციის ინდექსი მოიცავს სამ კომპონენტს, პირველი არის ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსი, ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსი თავის მხრივ შედგება ორი კომპონენტისგან. პირველი არის საქონლით ვაჭრობის გლობალიზაციის დონე, რაც მოიცავს - საქონლით ვაჭრობის წილი მთლიანი შიდა პროდუქტიდან, მოსახურების სფეროს წილი მთლიანი შიდა პროდუქტიდან, სავაჭრო პარტნიორების დივერსიფიკაცია, საბაჟო ტარიფების დონე, რამდენად შეზღუდულია ვაჭრობა. ხოლო მეორე არის ფინანსური გლობალიზაციის დონე - უცხოური ინვესტიციების წილი მშპ - ში, შეზღუდვები უცხოური კაპიტალის შემოდინებაზე, უცხოური გადარიცხვების წილი მთლიან შიდა პროდუქტში. საგარეო ვალის წილი მშპ - ში, სავალუტო რესურსების წილი მშპ - ში. სოციალური გლობალიზაციის დონე, მოიცავს ინტერპერსონალურ გლობალიზაციას, რაც გულისხმობს კომუნიკაციების განვითარებას ქვეყნის შიგნით, უცხოელების ვიზიტების რაოდენობას და ურთიერთობას უცხო სახელმწიფოებთან, ინფორმაციის გლობალიზაციის დონე, რაც მოიცავს წვდომას ინფორმაციასთან, მობილური კავშირის განვითარების დონე, წვდომას ინტერნეტთან და ტელევიზიის დაფარვის დონეს. კულტურული გლობალიზაციის დონე, რაც ნიშნავს საერთასორისო ბრენდების რაოდენობას ქვეყნაში, კულტურული საქონლის გაცვლის დონეს, ასევე განათლების დონეს ქვეყანაში. პოლიტიკური გლობალიზაციის კომპონენტი გულისხმობს ქვეყნის საგარეო ურთერთობების განვითარების დონეს, გაეროს სამშვიდობო ოპერაციებში ჩართულობას, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების რაოდენობა ქვეყანაში, საერთაშორისო ხელშეკრულებების რაოდენობა. ინდექსის მიხედვით ქულის მაქსიმუმი არის 100, რაც გლობალიზაციის მაღალ დონეს აღნიშნავს.

ასენის წევრი ქვეყნების გლობალიზაციის დონის საშუალო 2017 წლის მონაცემებით, 60,1 არის, ამ მონაცმემით ის 86 ადგილს იკავებს, საიდანაც სინგაპური ყველაზე დაწინაურებულია და მეოცე ადგილზე არის, ბოლოზე ლაოსი არის და 207 ქვეყანას შორის 170 - ე ადგილს იკავებს.

ეკონომიკური გლობალიზაციის დონის მიხედვით, ასეანის წევრი ქვეყნების საშუალო 68,2 არის, ამ მაჩვნებელით ის მსოფლიოში 69 აგდგილს იკავებს. მათ შორის პირველ ადგილზე სინგაპური არის, რომელიც მსოფლიოშიც პირველ ადგილზეა მოცმეული ინდექსით, მოცემულ კომპონენტშიც ბოლო ადგილზე ლაოსი არის.

სოციალური გლობალიზაციის დონის მიხედვით ასეანის წევრი ქვეყნების საშუალო 48,3 არის, რაც მათ მსოფლიოში 105 ადგილზე აყენებს, სიგაპური პირველ ადგილზე არის, ასეანში და მსოფლიოშიც, ბოლო ადგილზე ასეანის ქვეყნებს შორის მიანმარი არის.

პოლიტიკური გლობალიზაციის დონის მიხედვით, პირველ ადგილზე არის ინდონეზია, რომელიც მსოფლიოში ამ მაჩვენებლით 38 ადგილს იკავებს, ხოლო ბოლო ამ კომპონნეტშიც ლაოსი, არის, რომელიც მსოფლიოშ 168 ადგილს იაკვებს. ასეანის საშუალო ინდექსი 65,6 ტოლი არის, რითაც ის მსოფლიოში 100 ადგილს იკავებს. (2017 KOF Index of Globalization, 2017) (დანართი # 3)

მოცმეული ინდექსის ანალიზი, უჩვენებს რომ ასეანის წევრი ქვეყნები, ეკონომიკური გლობალიზაციის მხრივ, დანარჩენ კომპონენტებთან შედარებით წინ არინ, ის, რაც მათ აფერხებს მსოფლიო ეკონომიკაშ კიდევ უფრო მეტად ჩარტულები, რომ იყვნენ ეს არის, მათი სოციალური და პოლიტიკური განვითარების დონე, მოცემული ინდექსი ნათლად აჩვენებს, რომ საერთო ჯამში, ასეანში დაბალ დონეზე არის განვიარებული საერთაშორისო კავშირები, სუსტია კომუნიკაციების განვითრების დონეც, ხოლო ეკონომიკური კომპონნეტის შედარებითი კარგი მაჩვნებელი განპირობებულია ისევ მათი ორგანიზაცია ასენში წევრობისგან.

2.4 კვლევა - ასეანის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრების დამოკიდებულება ასეანის მიმართ

ასეანის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებს შორის, ჩავატარე ონლაინ გამოკითხვა, რომელიც მიზნად ისახავდა დაედგინა, ასენაის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრების დამოკიდებულა ორგანიზაციისადმი. გამოკითხაში მონაწიეობა მიიღო სულ 18 ადამაინმა. მათ შორის 14 იყო მამაკაცი, ხოლო 4 ქალი. მათი ნახევარი 25 – 30 წელს შორის იყო, 22 % 19 – 25 წელს შუალედში, 11 % 30 წელს ზემოთ, ხოლო მათი 17 % 18 წელს ქვემოთ. წარმომავლობის მიხედვით 7 ინდონეზიის მოქალაქე იყო, 3 მალაიზიის და 3 ფილიპინების, 2 სინგაპურის, ხოლო თითო - თითო ვიეტნამიდან ტაილანდიდან და ბრუნეიდან იყო. (დანართი # 1)

კითხვაზე თუ რამდენად მნიშვნელოვანია ასეანი მისი წევრი ქვეყნებისათვის, პასუხი 10 ბალიანი შკალით უნდა შეეფასებინათ, სადაც 1 ნიშნავდა საერთოდ არა, ხოლო 10 ძალიან მნშვნელოვანს. პასუხების საშულო 8,3 უდრის. საშუალოდ ექსტრემალური გადახრა დაფიქსირდა ბრუნეის წარმომადგენლის პასუხში სადაც მან 1 მიუთითა. დანარჩენი პასუხები 8 – 9 და 10 ბალი იყო.

კითხვაზე: ,,რამდენდ მნიშვნელოვანია ასეანი თქვენი ქვეყნისთვის“ ? , პასუხების საშუალო არითმეტიკული 7,7 არის, პასუხი ბრუნეიდან ისევ 1 იყო. სსაშუალოზე ნაკლები გამოვიდა ინდონეზიელი რესპოდენტების პასუხი 7,5 რაც არ შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვან გადახრად, დანარჩენ რესპოდენტებში პასუუხი საშუალოზე მაღალი იყო.

მოცმულ 2 კითხვაზე პასუხით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ასენის მნიშვნელოვანაი როგორც ორგანიზაცია ასევე მნიშვნელოვნად აღიქმება მისი წევრი ქვეყნების, მოქალაქეების მხრიდან.

კითხვაზე ,,ეხმარება ასეანი ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს მათ შორის არსებული პოლიტიკური პრობლემების მოგვარებაში“ ? პასუხების საშუალო არითმეტიკული 6 ის ტოლი გამოვიდა, ბრუნეიდან პასუხი ისევ 1 იყო. საშუალოზე მაღალი გამოვიდა ინდონეზიელი რესპოდენტების პასუხი 6,75. საშუალოზე დაბალი გამოვიდა

მალაიზიელი რესპოდენტების პასუხი, რომლის საშუალოც 4 გამოვიდა. დანარჩენი რესპოდენტების პასუხების საშუალო საერთო პასუხების საშუალოზე მაღალი გამოვიდა.

კითხვაზე ,,ეხმარება ასეანი წევრ ქვეყნებს ეკონომიკური პრობლეების გადაჭრაში ?“ პასუხების საშუალო არითმეტიკული 6,6 გამოვიდა. პასუხი ბრუნეიდან ისევ 1 იყო, ინდონეზიელი რესპოდენტების პასუხის საშუალო არითმეტიკული 6,7 გამოვიდა. საშუალოზე დაბალი გამოდგა ტაილანდელი რესპოდენტის პასუხიც. დანარცენი რესპოდენტების პასუხების საშუალო, კითხვის საშუალო არითმეტიკულზე მეტი გამოვიდა.

მოცემული ორი კითხვით შეგვიძლია დავადგინოთ, რომ ასეანის არსებული მუშაობით მისი წევრი ქვეყნებისნ მოქალაქეები ბოლომდე კმაყოფილები არ არიან.

კითხვაზე ,, სასურველია მეტი ეკონომიკური ინტეგრაცია ასეანში ?“ გამოკითხულთა პასუხების საშუალო არითმეტიკული 8 გამოვიდა. ინდონეზიელი რესპოდენტების პასუხების საშუალო 7,8 გამოვიდა. დანარჩენირესპოდენტების პასუხები საშუალოზე მეტი გამოვიდა.

კითხვაზე ,, რამდენად კარგია ასეანის მომავალი ?“ პასუხების საშუალო 7,55 გამოვიდა. ასეანის მომავალს უფრო პოზიტიურად უყურებენ ინდონეზიელი რესპოდენტები, მათი პასუხების საშუალო არითმეტიკული 8,1 გამოვიდა. 7,3 გამოვიდა მალაიზიელი რესპოდენტების პასუხების საშუალო. ფილიპინელი რესპოდენტბეის პასუხების საშუალო კი 8,3 გამოვიდა.

ბოლო ორი კითხვის პასუხებით შეგვიძლია გამოკითხულთა განწობის შესახებ ვიმსჯელოთ, ორგანიზაციის მომავლის შესახებ, გამოკითხულები ისურვებენ მეტ ეკონომიკურ ინტეგრაციას, თუმცა კიდევ უფრო მეტად დაიმედებულები უყურებენ ორგანიზაციის მომავალს.

კითხვარში იყო დამატებით 3 ღია კითხვაც. პირვლეი კითხვა იყო, ,,ფიქრობთ რომ რომელი სფეროში ასეანი ზედმეტად ერევა ? “ კითხვაზე პასუხის გაცემა არ იყო სავალდებულო, სამმა რესპოდენტმა გასცა პასუხი კითხვას, ერთის აზრით (

ფილიპინები) ორგანიზაცია, პირიქით არასაკმარისად არის ჩარეული ზოგადად ყველა სფეროში. ორი რესპოდენტი მალაიზიიდან პასუხობს, რომ ორგანიზაციის ზედმეტად ერევა ეკონომიკაში.

მომდევნო კითხვაზე ,, რა არის ისეთი სფეროები სადაც ასეანი კიდევ უფრო მეტად უდნა ჩაერთოს ? “ 8 რესპოდენტმა გასცა პასუხი, მათი უმრავლესობა ფიქორბს, რომ ასეთი სფერო არის ეკონომიკა, მნიშვნელოვან საკითხებად ასევე გამოიკვეთა ადამიანის უფლებები, ლტოლვილთა კრიზისი (მიანმარი - როჰინგუა) გარემოსდაცვა და ერთი რესპოდენტის აზრით ასეანი მეტად უნდა იყოს ჩართული წყნარ ოკეანეში მიმდინარე საკითხებში.

კითხვაზე: თუ ,, რა არის ასენაის მთავარი გამოწვევა ? ‘’ 13 - მა რესპოდენტმა გასცა პასუხი, მათი უმრავლესობა თანხმდება, რომ ასეანისვის მთავარი გამოწვევა არის ინტეგრაცია, რასაც აფერხებს ის კონტრასტი რაც ორგანიზაციაშია არის, ორი გამოკითხული კი პირდაპირ ასახელებს ჩინეთს, როგორც მთავარ გამოწვევას ორგანიზაციისათვის, რომელთა შორის ერთი ფილიპინელია, ხოლო მეორე ვიეტნამელი.

რესპოდენტებს შეეძლოთ ასევე დაეტოვებინათ შენიშვნა, შენიშვნა დატოვა ერთმა ინდონეზიელმა რესპოდენტმა, რომელიც ასეანის წევრი ქვეყნების განვიარებისათვის, მთავარ პრობლემად მიიჩნევს მისი წევრი ქვეყნების მმართველ ელიტებს. როორიც არის რაზაკი მალაიზიაში, სამეფო ოჯახი და შინავატრები ტაილანში, სამხედროები ბირმაში, სოეჰარტოს და სოეკარნოს დინასტიები ინდონეზიაში და არისტოკრატიული სამხედრო ოჯახები.

მოცემულ ორ კითხვაზე პასუხების ანალიზით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ასეანისთვის მთავარი გამოწვევა არის, როგორც შიდა განსხვავებები, როგორც იდეოლოგიური ასევე ეკონომიკური განვითარების დონე ასევე მმართველი ელიტის ქმედაბა და დაბალი ეფექტიანობა.

მთლიანი კითხვარი, რომ შევაჯამოთ ასეანის მოქალაქეები, პოზიტიურად უყურებენ მომავალს და ასეანის არსებობასაც, თუმცა ბოლომდე კმაყოფილები არ არიან

მისით და მოითხოვენ ორგანიზაციის მეტად გააქტიურებას და ყველა წევრისათვის რეალურად თანაბარ პირობებს და ერთნაირ წესებს მთელი ორგანიზაციის მასშტაბით.

III. ასეანი და საქართველო

3.1 საქართველოს და ასეანის ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობები

ეკონომიკური ურთიერთობები საქართველოსა და ასეანის წევრ ქვეყნებს შორის, რა თქმა უნდა დიდ მასშტაბებს ვერ არწევს, ასეანის წევრი 10 ქვეყნიდან გარდა ლაოსისა (ბრუნეის შესახებ მონაცემები ვერ მოვიპოვე), ბოლო სამი წლის განმავლობაში საქარტელოს ყველასთან ჰქონდა ეკონომიკური ურთიერთობა, ყველაზე ინტენსიური კი, ტაილანდთან, სინგაპურთან, მალაიზიასთან და ვიეტნამთან. 2015 წელს ექსპორტის მოცულობა, 10 მლნ აშშ დოლარი იყო ასეანის წევრი ქვეყნების მიამრთულებით, საიდანაც 8 მლნ დოლარის მოცულობის მაილაიზიასა და სინგაპურში განხორციელდა. იმავე წელს იმპორტის მოცულობა 76,5 მლნ აშშ დოლარის ტოლი იყო, მთავარი ექსპორტიორი ქვყენები ტაილანდი, სინგაპური, მალაიზია, ინდონეზია და ვიეტნამი იყვნენ.

2016 წელს საქართველოდან ექსპორტის მოცულობა, 11,8 მლნ აშშ დოლაირს ტოლი იყო, საიდანაც 10,6 მლნ სინაგპურის მიმართულებით განხორციელდა. ხოლო იმპორტმა ამ წელს 130,7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, საიდანაც 77 მლნ კაბოჯაზე მოდის, 42 მლნ ტაილანდზე, 9 მალაიზიაზე ხოლო 2 მლნ მიანმარზე.

2017 წელს ექსპორტის მოცულობა საქართველოდან 17 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, საიდანაც 13,7 მლნ სინგაპურის მიამრთულებით განხორციელდა და 2,7 მლნ აშშ დოლარის იყო ექსპორტი ვიეტნამის მიმართულებით. 2017 წელს იმპორტი ასეანის წევრი ქვეყნებიდან 65,8 მლნ აშშ დოლარის ტოლი იყო, მთავარი სავაჭრო პარტნიორები კი იყვნენ, ტაილანდი 21 მლნ, სინგაპური 13 მლნ, მალაიზია 10 მლნ, ინდონეზია 11,8 მლნ და ვიეტნამი 7,4 მლნ. (საგარეო ვაჭრობა - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური., 2018) (დანართი # 2, დანართი # 3)

მოცემული მონაცემები გვაჩვნეებს, რომ საქართველოდან ასეანის მიმართულებით ექსპორტი იზრდება. საქართველოს მთავარი ეკონომიკური პარტნიორები კი ორგანიზაციის ყველაზე ძლიერი წევრები არიან. თუკი, მოხერხდება რომ საქართველომ კიდევ უფრო გაზარდოს ეკონომიკური ურთიერთოებები,

ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან, სამომავლოდ იმედი შეიძლება გვოქნდეს, რომ რეგიონში ძლიერი პოლიტიკური მხარდაჭერა შევიქმნათ.

3.2 კვლევა - საქართველოს ურთიერთობა ასეანთან და მის წევრ ქვეყნებთან - საქარტველოს საგარეო საქმენთა სამინისტროს აზია - წყნარი ოკეანეთის დეპარტამენტი

ასეანის წევრი ქვეყნებიდან, გარკვეულ დონოზე საქართველოს ყველასთან აქვს დიპლომატიური ურთიერთობა, მათ შორის ორში, მალაიზიასა და ინდონეზიაში მოქმდებს დიპლომატიური წარმომადგენლობა საელჩოს დონეზე. საელჩოების გახსნის დროს, საგარეო საქმეთა სამინისტრომ აქცენტი გააკეთა, ისეთ ქვეყნებზე, რომლებსაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა გააჩნდათ რეგიონში. მალაიზიის საელჩო თავის მხრივ კურირებს ურთიერთობებს, სინგაპურთან, მიანმართან, ლაოსთან, კამბოჯასთან და ბრუნეისთა. საელჩო ინდონეზიაში კურირებს ურთიერთობებს ფილიპინებთან. ინდოეთის საელჩს პასუხისმგებლობის ქვეშ არის ტაილანდი, ხოლო ვიეტნამთან ურთიერთობას კურირებს საქართველოს საელჩო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. ორივე საელჩო სრულფასოვანია, დანარჩენ ქვეყნებში საქართველოს ჰყავს საპატიო კონსულები, რომელთა უმრავლესობა ბიზნესის სფეროს წარმოამდგენლები არიან.

საქართველოს ელჩი ინდონეზიაში ასევე აკრიდიტირებული არის, როგორც საქართელოს წარმომადგენელი ასეანის სამდივნოში და ის კურირებს საქართველოს ურთიერთობებს ორგანიზაციასთან. საქართველოს ურთიერთგაგების რემორანდუმები გაფორმებული აქვს ასეანის წევრ სახელმწიფოებთან, თუმცა ხელშეკრულებების დონეზე ჯერჯერობით არცერთ სახელმწიფოსთან ცალკეული ეკონომიკური ხელშეკრულება არ გვაქვს და ეკონომიკური ურთიერთობები, რეგულირდება საერთაშორისო კანონმდებლობით.

თანამშრომლობისათვის, ამჟამად ყველაზე პერსპექტიულ დარგებად განიხილება და ტურიზმი და ღვინის ექსპორტი საქართველოდან ასეანის წევრი ქვეყნების მიმართულებით. ხოლო იმპორტისათვის ყველაზე საინტერესოდ ტექსტილის ნაწარმის იმპორტია. სასურველ პროექტად განიხილება ასევე ხელშეკრულება თავისუფალი

ვაჭრობის შესახებ, თუმცა ჯერჯერობით რაიმე ერთობლივი ეკონომიკური პროექტი არ არსებობს.

რაც შეეხება ურთიერთბებს, სხვა სფეროებში ინტენსიურად მიმდინაროებს ინდონეზიისათვის საქართველოს რეფორმების გაზიარება, ინდონეზიის ინტერესია გამოცდილების გაზიერება, საგადასახადო სფეროში, ისტუციის სახლების რეფორმა და პოლიციის რეფორმა საქართველოში.

საქართველოს, ურთიერთობა ასეანის ქვეყნებთან, განსაკუთრებით ინტენსიური გახდა 2008 წლის აგვისტოს, ომის შემდეგ. რომლის მთავარი, მიზანიც არის არ აღიარების პოლიტიკის განხორციელება. რადგან ურთიერთობები ჯერ კიდევ ახალია, სამომავლოდ პერსპექტივა ჯერ კიდევ დიდია, განსაკუთრებიტ ეკონომიკურ სფეროში, ვინაიდან საქართველოს აქვს აშშ - სთან და ევროკავშირთან თავისუფალი ეკონომმიკური ურთიერთობა, საქართველოდან რეექსპორტის შესაძლებლობა საინტერესო არის ექსპორტზე ორიენტირებული ასეანის ქვეყნებისათვის.

დასკვნა

საკვლევი საკითხი საკმაოდ კომპლექსურია და მის სრულყოფილს გამოკვლევას ართულებს ასევე ის, რომ არ არსებობს სხვა კვლევები რომლებიც შეიძებოდა მაგალითად აგვეღო კვლევის მიმდინარეობისას, განსაკუთრებით გეოეკონომიკის მხრივ, ვინაიდან თვითონ ეს მეცნირებაც ახალი არის და ამ მხრივ საკითხების კვლევა ჯერ სრულყოფილად არ მიმდინარეობს. კვლევამ კი გვიჩვენა, რომ 1967 წელს ასეანის დაარსება ნამდვილად წინ გადადგმული და შორს გამიზნული ნაბიჯი იყო, რამაც ხელი შეუწყო რეგიონის ინტეგრაციას და წინსვლას, ასევე რიგი დაპირისპირებების თავიდან აცილებას ან უფრო მშვიდობიან გადაწყვეტას, ხოლო დღევანდელ მსოფლიოში ახალი ძლიერი გეოეონომიკური რეგიონის ჩამოყალიბებას. წევრი ქვეყნების ეკონომიკური და გეოგრაფიული მახასიათებლებით შედარებისას, ინდონეზიის ლიდერობა აშკარად გამოიკვეთა თუმცა არა იმდენად რომ მან მთელი ასოციაციის საკუთარ გემოვნებაზე დაწყობა შეძლოს, ასეთი გამოკვეთილი ლიდერის არ ყოლა კი ჩემი აზრით თანამშრომლობის ხელშემწყობი ფაქტორია. ასეანის წევრი ქვეყნები აქცენტს უპირველსად ძლიერ ეკონომიკურ პარტინორებზე აკეთებნე და ცდილობენ მათთან კარგი ეკონომიკური ურთიერთობა ჩამოაყალიბონ. ასეანის წევრი ქვეყნების განვითარების სტრატეგიებიც ერთმანეთისგან განსხვავებულია, რაც გამოწვეულია დღევანდელ სიტუაციაში არსებული განსხვავევებით, საბოლოოდ კი შორეულ პერპექტივაში ყველას სტრატეგია ერთისკენ, კეთილდღეობის მომტანი სახელმწიფოსკენ არის მიმართული. ყველაფერ ზემოთ აღწერილიდან ჩანს რომ ასეანის სახელმწიფოების თანამშრომლობა გამოწვეულია, ზოგადად სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის მომგებიანობის პრინციპით, იმ მაგალითით რასაც უჩვენებს პირველ რიგში ევროკავშირი და ასევე იმ საგარეო ფაქტორების მიერ, რომლებიც აიძულებს ქვეყნებს გააერთიანონ საკუთარი ძალისხმევა, ეს ძალისხმევა, პირველ რიგში მიმართულია ჩინეთის წინააღმდეგ მაგრამ, როგორც დავინახეთ ზოგიერთისთვის ჩინეთთან ურთიერთობა მომგებიანი არის. რაც მთავარია ამ ქვეყნებს აქვთ პოტენციალი შექმნან ძლიერი რეგიონული კავშირი და დაანახონ მსოფლიოს, რომ მრავალფეროვნებაში ნამდვილად შეიძლება ერთიანობის მიღწევა და რომ მართლაც ძალა ერთობაშია, ერთიანობის

რომელსაც შეუძლია სიკეთე მოუტანოს მის ყველა წევრს და არავინ დარჩეს უკმაყოფილო არსებული წესრიგითაც. ამ კავშირმა, მასში არსებულმა მრავალფეროვნებამ, ასევე შეიძლება კარგად დაანახოს ხალხს, რომ სხვასთან განსხვავებული კულტურის მქონესთან ურთიერთობა არ ნიშნავს საკუთარის დაკარგვას.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, საქართველოს საგარეო ეკონომიკური კავშირები, ასეანის ეკონომიკურად მზარდ რეგიონთან, ჯერჯეროვბით ძალზედ სუსტია, რეგიონი შეიძლება განვიხილოთ როგორც, საქართველოს ეკონომიკის დივერსიფცირების ერთ - ერთი შესაძლებლობად. ვფიქრობთ საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის გააქტიურება რეგიონის ამ ქვეყნებთან (განსაკუთრებით ინვესტიციების მოზიდვის კუთხით) ხელს შეუწყობს, საქართველოს ეკონომიკის შემდგომ დივერსიფიცირებას და შესაბამისად წინსვლას.

ბიბლიოგრაფია

2018 economic outlook: How PH can sustain momentum. (3 de იანვარი de 2018). Obtenido de abs-cbn.com: http://news.abs-cbn.com/business/01/03/18/2018-economic-outlook-how-ph-can-sustain-momentum

A simple review on Indonesian Geoeconomics. (2 de აპრილი de 2014). Obtenido de academia.edu: http://www.academia.edu/6521997/A_simple_review_on_Indonesian_Geoeconomics

about-asean/overview/. (2018). Obtenido de asean.org/: http://asean.org/asean/about-asean/overview/

ASEAN - Die Freihandelszone Asiens. (2017). Obtenido de asienspezialisten.com: https://www.asienspezialisten.com/2017/07/17/asean-die-freihandelszone-asiens/

ASEAN Framework Agreement for the Integration of Priority Sectors Vientiane, 29th November 2004. (12 de მაისი de 2012). Obtenido de asean.org: http://asean.org/?static_post=asean-framework-agreement-for-the-integration-of-priority-sectors-vientiane-29th-november-2004

ASEAN Free Trade Area (AFTA Council). (2018). Obtenido de asean.org/: http://asean.org/asean-economic-community/asean-free-trade-area-afta-council/

ASEAN History. (2018). Obtenido de asean.org: http://asean.org/asean/about-asean/history/

ASEAN Human Rights Declaration. (s.f.). Obtenido de asean.org: http://www.asean.org/storage/images/ASEAN_RTK_2014/6_AHRD_Booklet.pdf

ASEAN Investment Area (AIA) Council. (2018). Obtenido de asean.org: http://asean.org/asean-economic-community/asean-investment-area-aia-council/

ASEAN Moves Forward to Build a Single Market Commentary by Ong Keng Yong for the Asian Wall Street Journal*. (9 de October de 2003). Obtenido de asean.org: http://asean.org/?static_post=asean-moves-forward-to-build-a-single-market-commentary-by-ong-keng-yong-for-the-asian-wall-street-journal

ASEAN Political-Security Community Blueprint. (2009). Obtenido de ASEAN Political-Security Community Blueprint: http://asean.org/wp-content/uploads/archive/5187-18.pdf

ASEAN SOCIO-CULTURAL. (2016). Obtenido de asean.org/: http://asean.org/storage/2016/01/ASCC-Blueprint-2025.pdf

(2017). *ASEAN Statistical Yearbook.* Jakarta: The ASEAN Secretariat.

ASEAN Tätigkeitsfelder. (2017). Obtenido de https://de.wikipedia.org/wiki/ASEAN#T%C3%A4tigkeitsfelder: https://de.wikipedia.org/wiki/ASEAN#T%C3%A4tigkeitsfelder

ASEAN University Network. (2018). Obtenido de http://www.aunsec.org/: http://www.aunsec.org/

asean-structure. (2018). Obtenido de asean.org: http://asean.org/asean/asean-structure/

Cambodia - Economics. (2017). Obtenido de cia.org: https://www.cia.gov/library/publications/resources/the-world-factbook/geos/cb.html

Cambodia Economic Update April 2017: Staying Competitive through Improving Productivity. (2017). Obtenido de worldbank.org: http://www.worldbank.org/en/country/cambodia/publication/cambodia-economic-update-april-2017

cia.gov. (2018). Obtenido de Malaisya - Economic Overview: https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/my.html

Country Profile - Thailand. (2016). Obtenido de atlas.media.mit.edu: https://atlas.media.mit.edu/en/profile/country/tha/

DECLARATION ON THE ASEAN ECONOMIC COMMUNITY BLUEPRINT. (2008). Obtenido de asean.org/: http://asean.org/wp-content/uploads/archive/5187-10.pdf

(2018). *Exportbericht Laos* .ვენა: Ein Service des AUSSENWIRTSCHAFTSZENTRUMS BAYERN in Zusammenarbeit mit AUSSENWIRTSCHAFT AUSTRIA. Obtenido de https://www.auwi-bayern.de/awp/inhalte/Laender/Anhaenge/exportbericht-laos.pdf

Free Trade Agreements with Dialogue Partners. (2018). Obtenido de asean.org: http://asean.org/asean-economic-community/free-trade-agreements-with-dialogue-partners/

Indonesia's 16th Economic Policy Package to Focus on Investment. (9 de აგვისტო de 2017). Obtenido de indonesia-investments.com: https://www.indonesia-investments.com/news/todays-headlines/indonesia-s-16th-economic-policy-package-to-focus-on-investment/item8082

International Monetary Fund. (2018). Obtenido de imf.org: http://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2018/01/weodata/weorept.aspx?pr.x=51&pr.y=10&sy=2016&ey=2017&scsm=1&ssd=1&sort=country&ds=.&br=1&c=548%2C518%2C516%2C522%2C566%2C576%2C578%2C536%2C544%2C582&s=PPPGDP&grp=0&a=

LIPortalDas Länder-Informations-Portal. (2017). Obtenido de liportal.de: https://www.liportal.de/malaysia/wirtschaft-entwicklung/

LIPortalDas Länder-Informations-Portal. (2017). Obtenido de www.liportal.de/laos/wirtschaft-entwicklung/: https://www.liportal.de/laos/wirtschaft-entwicklung/

Philippines Economic Update: Investing in the Future. (16 de აპრილი de 2018). Obtenido de worldbank.org: http://www.worldbank.org/en/country/philippines/publication/philippines-economic-update-investing-in-the-future

Selected basic ASEAN indicators. (2017). Obtenido de web.archive.org: https://web.archive.org/web/20150904103519/http://www.asean.org/images/2015/January/selected_key_indicators/Summary%20table_as%20of%20December%202014_R.pdf

Thailand Economic Monitor - April 2018: Beyond the Innovation Paradox. (9 de აპრილი de 2018). Obtenido de worldbank.org:

http://www.worldbank.org/en/country/thailand/publication/thailand-economic-monitor-april-2018-beyond-the-innovation-paradox

Thailand Expected to Post 4.1% Growth in 2018 - Best Economic Performance Since 2012. (9 de აპრილი de 2018). Obtenido de worldbank.org: http://www.worldbank.org/en/news/press-release/2018/04/09/thailand-expected-to-post-41-growth-in-2018-best-economic-performance-since-2012

Thanadsillapakul, D. L. (2017). *Framework Agreement on the ASEAN Investment Area (AIA)*. Obtenido de thailawforum.com: http://www.thailawforum.com/articles/lawanaia2.html

The World Bank In Indonesia. (9 de აპრილი de 2018). Obtenido de worldbank.org/en/country/indonesia/overview: http://www.worldbank.org/en/country/indonesia/overview

Vietnam Economic Overview. (2018). Obtenido de www.cia.gov: https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/vm.html

Vietnam: Ho Chi Minh und Marktwirtschaft - Reisebericht. (21 de მარტი de 2017). Obtenido de youtube.com: https://www.youtube.com/watch?v=Uf5xAXKsxbk

Vietnam's evolving role in ASEAN: From adjusting to advocating. (11 de ივლისი de 2016). Obtenido de brookings.edu: https://www.brookings.edu/opinions/vietnams-evolving-role-in-asean-from-adjusting-to-advocating/

Wirtschaftsausblick November 2017 - Malaysia. (2017). Obtenido de gtai.de: https://www.gtai.de/GTAI/Navigation/DE/Trade/Maerkte/Wirtschaftsklima/wirtschaftsausblick,t=wirtschaftsausblick-november-2017--malaysia,did=1831880.html

კვინიკაძე, გ. (2017). *გეოეკონომიკის საფუძვლები სალექციო კურსი*. თბილისი.

საგარეოვაჭრობა - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2018). Obtenido de geostat.ge: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo

დანართები.


ასეანის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრთა დამოკიდებულება ასენში არსებული მდგომარეობის და პერსპექტივის შესახებ (დანართი 1)
4,5
4
3,5
3
2,5
2
1,5
1
0,5
0
25 - 30
25 - 30
წაკლები 18
19 - 25
25 - 30
19 - 25
25 - 30
მეტი 30
მეტი 30
წაკლები 18
19 - 25
19 - 25
25 - 30
25 - 30
ბრუნეი
იწდოწეზია
მალაიზია
სიწგაპური
ტაილანდი
ფილიპინები
ვიეტნამი
იწდოწეზია
მალაიზია
ფილიპინები
კაცი
ქალი
სქესი
ასეანის წევრი ქვეყნის მოქალქეობა
ასაკი
წყარო: კვლევა განხორციელდა ჩემ მიერ


ექსპორტი საქართველოდან ასეანის წევრი ქვეყნების მიმართულებით (2015 - 2016 - 2017 წლები (დაართი # 2)
14.000,0
12.000,0
10.000,0
8.000,0
6.000,0
4.000,0
2.000,0
-
2.711,9
560,2
494,7
0,3
7,0
142,1
1,3
4,0
2.295,7
66,3
6.835,1
10.691,4
13.753,3
254,8
276,6
154,2
140,0
0,4
247,4
2017
2015
ბრუნეი
ვიეტნამი
იწდონეზია
კამბოჯა
ლაოსი
მალაიზია
მიანმარი
სინგაპური
ტაილანდი
ფილიპინები
2015
2016
2017
წყარო: საქსტატი



გლობალიზაციის ინდექსი ასეანის ქვეყნებისთვის (დანართი 4)

ქვეყანა	გლობალიზაც	ადგილ	ეკონომიკური	ადგილი	სოციალურ	ადგილი	პოლიტიკურ	ადგილი
სინგაპური	83,64	20	97,77	1	91,61	1	54,77	134
მალაიზია	78,14	31	77,93	35	74,2	37	83,69	49
ტაილანდი	70,76	44	71,2	55	64,23	57	78,95	61
ბრუნეი	67,6	52	78,66	32	67,08	51	54,05	140
ინდონეზია	59,65	82	64,02	74	35,14	139	86,83	38
ფილიპინები	56,84	88	53,89	115	40,27	122	82,83	52
ვიეტნამი	56,69	89	62,64	84	40,18	123	71,13	89
კამბოჯა	50,69	116	65,9	71	27,34	159	62,36	117
მიანმარი	39,03	168	56,58	111	17,87	196	44,74	156
ლაოსი	38,74	170	53,76	116	25,21	167	37,51	168
საშუალო	**60,178**	**86**	**68,235**	**69,4**	**48,313**	**105,2**	**65,686**	**100,4**

წყარო: ციურის ეკონომიკური ინსტიტუტი



ASEAN Secretariat წყაროზე დაყრდნობით რუკა შედგენილია ჩემ მიერ დანართი 5.



ASEAN Secretariat წყაროზე დაყრდნობით რუკა შედგენილია ჩემ მიერ დანრთი 6.



ASEAN Secretariat წყაროზე დაყრდნობით რუკა შედგენილია ჩემ მიერ დანართი 7.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Social and Political Science

Nika Nemsitsveridze

MA Human Geography

Problems of involvement of ASEAN countries in regional and global economic processes / geo-economic analysis /

The thesis developed under supervision of: Giorgi Kvinikdaze, PhD of Human Geography, Associated Professor

Tbilisi © 2018